საერთო გაზეთი

№41 (404) • 2 ნოემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვახტანგ ხარჩილავა:

ვინც არ უნდა ჩადგეს ჩვენს შორის, ჩვენ, აფხაზები და ქართველები, მაინც გავგრძელდებით ერთმანეთში, რადგან ერთმანეთისგან ვიწყებით

ბიძინა ივანიშვილი:

ჩვენი აფხაზი ძმებისთვის შეთავაზება მინდოდა გამეკეთებინა, საქმიანი წინადადება, ხაზს იქითაც ვთავაზობ ასეთივე კლასის სასტუმროს აშენებას. გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც...

სამეგრელომ „ნაცები“ საბოლოოდ დამარხა!

მითი, რომ სამეგრელო „ნაცებისაა“, დაიმსხვრა!

პაატა ცნობილაძე:

კოსმეტიკური ცვლილებები ამ კონსტიტუციას არ უშველის, ახალი კონსტიტუციის მიღება გარდაუვალია!

ელზა ჯმუხაძე:

შალვა ნათელაშვილმა ან გიჟის ცნობა წარმოადგინოს, ან ციხეში მოუწევს ჩაჯდომა!

კონსტანტინე გამსახურდია:

რა იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობის ძირითადი მიზეზები?

შოთა გლურჯიძე:

გაიაფებული „ოდეს-ტურფა“ და ჩაფლავებული „ნაცმოძრაობა“

რატომ გვაქვს საქართველოს სახელმწიფო დროშად „ნაცმოძრაობის“ პარტიული დროშა, რომელიც, როგორც ირკვევა, სომეხი მეფეების კვიპროსული შტოს დროშაა?!

„რა დროშა მოგვცა მიშამა�ა, ფითელი, გრძელტარიანიი...“

გვჭირდება კი ახალი ელმავალმშენებელი ქარხანა, როცა საქართველოში 60-წლიანი გამოცდილების მქონე „ელმავალმშენებელი“ ფუნქციონირებს?!

რა ვქნათ? კვლავ გავიმეოროთ 90-იანი წლების შეცდომა და დანაშაული და „ელმავალმშენებლის“ უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯართში ჩავაბაროთ, ჩვენ გულზე ხელი დავიკრიფოთ და სხვას ვუყუროთ, როგორ ამუშავებს წარმოებას საქართველოში?

2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გამარჯვებას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ამ ტრიუმფალურ გამარჯვებას ვულოცავთ არა მარტო „ქართულ ოცნებას“ და მის მხარდამჭერებს, არამედ იმათაც, ვისაც „ქართული ოცნებისთვის“ ხმა არ მიუცია და იმ 49 პროცენტსაც, რომელიც საერთოდ არ მისულა არჩევნებზე.

„ქართული ოცნების“ ეს მართლაც უპრეცედენტო გამარჯვება საქართველოს ყველა მოქალაქის გამარჯვებაა, მიუხედავად მათი პოლიტიკური პოზიციისა და მრწამსისა.

რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ვულოცავთ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებსაც, რადგან ამ მოძალადე პოლიტიკური ორგანიზაციისგან მათი საბოლოო განთავისუფლების ერთადერთი შანსი და საშუალება სწორედ „ქართული ოცნების“ გამარჯვება და „ქართული ოცნების“ მიერ დასახული იმ მიზნების და ამოცანების განხორციელებაა, რომლებიც საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

„ქართული ოცნების“ გამარჯვებით, დარწმუნებული ვართ, საქართველოს ცხოვრებაში სრულიად ახალი, ისტორიული ეტაპი იწყება!

„საერთო გაზეთი“

მოგიწოდებთ ყველას, ბრალდებული სააკაშვილის მიმართვების ტირაჟირებისგან თავი შეიკავოთ – ზაქარია ქუცნაშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა.

როგორც ქუცნაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განმარტა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საარჩევნო პროცესებში ჩარევის უფლება არ აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

„მოგიწოდებთ ყველას, ბრალდებული სააკაშვილის მიმართვების ტირაჟირებისგან თავი შეიკავოთ იმიტომ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევის უფლება. ეს უკვე ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას. პირდაპირ გვიწერია კონსტიტუციაში, რომ საარჩევნო პროცესებში ჩარევის უფლება არ აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ეს იგივეა, ტერორისტი გამოდიოდეს, ამბობდეს, ავაფეთქებ ახლა ამ ქალაქს და ჩვენ, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ვეხმარებოდეთ. ამ აზრის ტირაჟირებას არ უნდა შევუწყოთ ხელი იმიტომ, რომ სააკაშვილი არ გახლავთ საქართველოს მოქალაქე,“ – განაცხადა ქუცნაშვილმა.

თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

საქართველოს სახალხო დამცველის, დანიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ორგანიზებით თბილისში, საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ბიზნესი და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“ გაიმართა.

ღონისძიების გახსნაზე რეგიონში ადამიანის უფლებებზე ბიზნეს გარემოს გავლენის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა განიხილეს.

აღინიშნა, რომ დიდი ენერგეტიკული თუ სხვა საინვესტიციო და ბიზნეს პროექტების ფონზე, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მრავალი ხარვეზი იკვეთება ბიზნეს სექტორში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის კუთხით და ჯერჯერობით ბიზნეს-ინტერესებსა და ადამიანის უფლებათა საჭიროებებს შორის ბალანსის დაცვისთვის ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ხაზი გაესვა სახელმწიფო ვალდებულებებს, რომ შექმნას სამართლებრივი მექანიზმები, რათა ადამიანის უფლებები დაცული იყოს ბიზნესის არასასურველი ზემოქმედებისაგან, ხოლო ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს დაცვის ეფექტიან საშუალებებზე.

კონფერენციის მომხსენებლებმა ხაზი გაუსვეს ეკონომიკის განვითარების უწყვეტობის მნიშვნელობას, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვისთვის ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის შრომის სფეროში მედიაციის მექანიზმების შემუშავება, სამუშაო პირობების ინსპექტირება, ტრეფიკინგთან და შრომით დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

ასევე, ისაუბრეს შრომის უფლებებზე, შრომის საერთაშორისო სტანდარტებზე, საქართველოში სამუშაო ადგილებზე გამოვლენილ დისკრიმინაციაზე, სოციალურ უფლებებზე, მასშტაბურ პროექტებსა და მათ გარემო ზეგავლენაზე. განიხილეს ადეკვატური ანაზღაურების, კონტრაქტის ფორმების, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის, კორპორატიულ–სოციალური თანამშრომლობის და დავის განხილვის, მათ შორის კომპანიების შიგნით მსგავსი მექანიზმების შექმნისა და დახვეწის საკითხები.

კონფერენციის მეორე დღეს, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებასთან ერთად ისაუბრეს პრაქტიკულ გზებსა და ინიციატივებზე, ბიზნესში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების კუთხით და რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ამ პროცესში; ასევე განიხილეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხები.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, თემაზე მომუშავე მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების და მსხვილი ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელები, სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

სამეგრელომ „ნაცები“ საბოლოოდ დამარხა!

მითი, რომ სამეგრელო „ნაცებისაა“, დაიმსხვრა!

„ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იმედი სამეგრელო აღარაა. ამ არჩევნებში მეგრელებმა დაამტკიცეს, რომ ეს მხარე „ნაციონალების“ დასაყრდენად და საიმედოდ არ ითვლება. მთელი საარჩევნო პერიოდი ნაცები, მათი ლიდერები და მათი მთავარი კერპი ოდესიდან საზოგადოებას იმაში არწმუნებდნენ, რომ მთვარი დასაყრდენი სამეგრელოში აქვთ და არჩევნებს სამეგრელოს ყველა ოლქში მოიგებდნენ. განსაკუთრებულ იმედს კი სააკაშვილის პარტია ზუგდიდზე ამყარებდა, თუმცა ამაოდ - ყოფილმა მმართველმა პარტიამ სამეგრელოს მაჟორიტარული ოლქებიდან ყველაზე ნაკლები ხმა სწორედ ქალაქ ზუგდიდში მიიღო. მათთმა კანდიდატმა ლევან კონჯარიამ მხოლოდ 3984 ხმის შეგროვება მოახერხა. ეს ნაციონალების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელ სამეგრელოში. მითი, რომ ზუგდიდი „ნაციონალების“ ქალაქია და იქ ყველაზე მეტ ხმას აიღებდნენ ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვრა.

„ნაციონალების“ იმედები გაცამტვერდა სამეგრელოს ყველა უბანზე. დაიმსხვრა მითი ანაკლიაზეც, რომელზეც ოდესის გუბერნატოს განსაკუთრებული იმედები ჰქონდა. „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულმა ოცნებამ“ ანაკლიაში 76 პროცენტით დაამარცხა. ხალხი ბრძენია და ამ ბრძენმა ხალხმა უარი უთხრა ძალადობას, გაიხსენა, რომ ანაკლია, რომელიც ლამის სააკაშვილმა თავის აღმოჩენად წარმოგვიდგინა, რეალურად ხალხისთვის წართმეულ მიწაზე გააშენეს. დიახ, ადგილობრივების წართმეულ მიწაზე. სასტუმრო „ოქროს საწმისი“, რომლის არააოფიციალური მეწილეებიც ახალაიები იყვნენ, ანაკლიელ მარინა სორდიასთვის ძალით დათმობილ მიწაზე, სასტუმრო „ანაკლია“ კი ასევე ადგილობრივ თორნიკე ბუბუტეიშვილისთვის მიწაზე დგას, მამაპაპისეული მიწები წაართვეს ანაკლიელბის უმეტესობას, ეს სიკეთე კი ხალხმა მიშას ამ არჩევნებზე დაუფასა. დაუფასა და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნა ფრაზა „სამეგრელო ნაცებისაა“.

მეგრელებმა „ნაცებს“ არ დაუვიწყეს საყოველთაო ტერორი, მამაკაცთა გაუპატიურება ოდიშის და ნარაზენის ტყეებში საგულდაგულოდ მოწყობილ სამალავებში. სამეგრელომ სანაცეთს უარი უთხრა და შესაბამისი შედეგებიც დადო: ფოთში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ირაკლი ხახუბიამ 75,5%, სენაკში ირაკლი ბერაიამ 75,3%, ედიშერ თოლორაიამ ზუგდიდში 71,09%, ხობში ირაკლი (დაჩი) ბერაიამ 70,72%, მერაბ ქვარაიმ ქალაქ ზუგდიდში 70,17% და გოგა გულორდავამ წალენჯიხა-ჩხოროწყუს ოლქში– 68,56% აიღო.

ამ შედეგებით სახტად დარჩენილმა ნაცებმა არჩევნების ღამეს გლოვაც კი გამოაცხადეს. მაშინ როცა „ქართული ოცნების“ სამეგრელოს ცენტრალურ ოფისში საყოველთაო სახალხო ზეიმი იყო. ფეიერვერკებით ზუგდიდის ცა განათდა, ნაცების ოფისი ჩაბნელდა, შუქი ჩააქრეს. როგორც მათი ჩვევაა - ჩააქრეს, აიძურწნენ და წავიდნენ, ვითომ არაფერი მომხდარიყო.

არადა, მოხდა... მიუხედავად იმისა, რომ კუდის და პოლიციის ყოფილმა თანამშრომლებმა სოფლებში ამომრჩევლები დააშინეს– „ჩვენ დავბრუნდებით და ყველას გაზღვევინებთ, თუ ხმას „ქართულ ოცნებას'' მისცემთო“, მიუხედავად იმისა, რომ 7 ოქტომბრის ღამეს ამომრჩევლების უმეტესობა მოისყიდეს და 50-80 ლარი გადაუხადეს, მიუხედავად იმისა, რომ სანდრა რულოვსი-სააკაშვილისა რძლად გამოაცხადეს, ამღერეს, აცეკვეს, ატირეს, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში წინასაარჩევნოდ 20 მილიონი ლარი დახარჯეს, მიუხედავად იმისა, რომ კაცთმოძულე ახალაიები საარჩევნოდ ახლოს არ გაიკარეს - დამარცხდნენ, თან სამარცხვინოდ. სათოფეზეც. კი ვერ მიუახლოვდნენ კონკურენტს.

სამეგრელო მიშასი აღარაა, არც სანდრასია, რომელიც აქ არც კი ჩამოვიდა, არც აქტივს შეხვდა და არც მის მცირერიცხოვან ამომრჩეველს– მხარდაჭერისთვის მადლობა, რომ გადაეხადა. „მეგრელების რძალმა“, რომელიც საკუთარ თავს ლამის მხსნელად წარმოუდგენდა მთელ სამეგრელოს, გაიძურწა, წავიდა მშობლიურ ჰოლანდიაში. წავიდა და დატოვა განხეთქილება! დიახ, სანდრა-ელისაბედი ადგილობრივ „ნაცებში“ განხეთქილების ვაშლია, ნაწილი დამარცხებას მას აბრალებს, ნაწილი კი პირიქით, მცირერიცხოვანი ხმების აღებას მიშას ცოლს მიაწერს. ახლა დაერივნენ და შიგნით ჭამენ ერთმანეთს.

ზუგდიდში დღეს ასე ხუმრობენ– ნაცების პანაშვიდი, დაკრძალვა, ორმოცი და წლისთავი სამეგრელომ 30 ოქტომბერს ერთდროულად გადაიხადაო. ამ „გაუბედურებით“ მწუხარე მხოლოდ ნაცები დარჩნენ, აბა, მთელს სამეგრელოში საყოველთაო ზეიმია. ისე, რამდენი უნდა დააშავოს პარტიამ, რომ საკუთარ ხალხს ასე შესძულდე და შენი დასამარება ასე უხაროდეს.

სამგრელომ თავისი სიტყვა თქვა.

სამეგრელო „ნაცებისგან“ თავისუფალია!

კოსმეტიკური ცვლილებები ამ კონსტიტუციას არ უშველის, ახალი კონსტიტუციის მიღება გარდაუვალია!

კოსმეტიკას მიცვალებულებსაც უკეთებენ, მაგრამ როდის იყო კოსმეტიკა მკვდარს აცოცხლებდა?

საკონსტიტუციო რეფორმის აუცილებლობაზე გვესაუბრება, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პაატა ცნობილაძე.

— ბატონო პაატა, პრემიერ მინისტრმა, მთავრობის სხდომაზე დააანონსა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის იდეა...

— ვიზიარებ პრემიერის პათოსს ამ საკითხთან დაკავშირებით. იმაშიც ვეთანხმები ბატონ პრემიერს, რომ არ არის აუცილებელი, მთელი პარლამენტი დაკავდეს ამ ცვლილებებზე მუშაობით. უამრავი სხვა პრობლემაა დაგროვილი და უმჯობესია, ახალი ენერგია იქ დაიხარჯოს. ეს საქმე კი, პროფესიონალებს მიანდონ.

— პრემიერის განცხადებას მაშინვე მოჰყვა რეაგირება პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. პრეზიდენტმა მზაობა გამოთქვა, თავად შექმნას ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი და დაუყოვნებლივ გამართოს კონსულტაციები ამ ჯგუფის საქმიანობის წესსა და სტრუქტურაზე. რას მივაწეროთ მისი ასეთი მყისიერი გააქტიურება?

— საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არის პირველი პირი და აქვს ფართო უფლებამოსილება, საპარლამენტო რესპუბლიკაში კი ის წარმოადგენს სახელმწიფოს ერთგვარ სიმბოლოს თავისი საკმარი უფლებამოსილებებით. და რაც მთავარია, ამას თვითონ ან ვინმე კი არ ადგენს, არამედ ამას ითვალისწინებს თავად ეს კონკრეტული მოდელი. თუ რამე შეიცვალა ხელოვნური ჩარევით,, მაშინ ვღებულობთ იმას, რაც გვქონდა წლების განმავლობაში. გასაგებია ხომ? და, თუ ვინმეს ამის შენარჩუნება სურს, იქნება ის სახელისუფლო ვაკხანალია, რაც იყო. ამ უაზრო მოდელის ფარგლებში, რაც საკაშვილმა დაუტოვა ქვეყანას მემკვიდრეობად, პრეზიდენტისათვის უფლებების გაზრდა ამ ზოგიერთის შენარჩუნება ეხლა რას ნიშნავს იცით? ეს იგივეა, ძრავა დაშალო და ნაწილები სხვაგვარად დააყენო. იმუშავებს? ასევეა სახელმწიფო მექანიზმიც. თუ თავის ადგილზე არ დგას ყველა, გინდა ფუნქციურად და გინდა კომპეტენციურად, ის ვერ მუშაობს. ან რატომ წუწუნებენ არ მესმის. დღესდღეობით, რომ შეადაროთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაურის, რომელიც იმავდროულად, კიდევ რამოდენიმე უდიდესი სახელმწიფოს მეთაურიცაა, მარგველაშვილს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მას.... მე მგონი, პრეზიდენტი, ჯერ კიდევ ვერ მიხვდა, რომ ის, ის პრეზიდენტი აღარაა, როგორიც შევარდნაძე და სააკაშვილი იყვნენ. ამ შემთხვევაში, პიროვნულ თვისებებს კი არა, ფუნქციურ და იერარქიულ მახასიათებლებს ვგულისხმობ. ამასაც თავი რომ დავანებოთ, თუ უფლებამოსილებების თანაფარდობაზე მიდგება საქმე, დღეს, სახელმწიფოში, რანგით პირველი პირი არის პრემიერ მინისტრი. არა იმიტომ, რომ ამას გიორგი კვირიკაშვილი ჩემულობს, ან ბიძინა ივანიშვილს სურს ასე. მმართველობის მოდელი ადგენს ამას. პრეზიდენტის ასეთი უადგილო რეაგირება, კიდევ ერთი დასტურია, თუ რატომ უნდა შეიცვალოს დროულად კონსტიტუცია, რადგან მასში, თავის დროზე ჩადებულმა ორაზროვანმა ნორმებმა, აღარ შექმნას ასეთი უხერხულობები და ყველას მკაფიოდ მიუჩინოს მისი კუთვნილი ადგილი. პრემიერ-მინისტრს, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის ან თუნდაც, კომისიის შესახებ. თუ პრეზიდენტს სურს, მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის ან კომისიის მუშაობაში, შეუძლია მიმართოს შესაბამისი თხოვნით და ჩაერთოს მასში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ან თავად შექმნას მის დაქვემდებარებაში სხვა ჯგუფი, რომელიც ალტერნატიული პროექტის შექმნით დაკავდება. ეს უფლება მისთვის არავის წაურთმევია.

— ბატონო პაატა, საზოგადოებისათვის, მაინც უცნობი დარჩა: საუბარია კოსმეტიკურ ცვლილებებზე, თუ ახალი კონსტიტუციის შემუშავებაზე?

— პრემიერ-მინისტრის განცხადების შიბაარსიდან თუ გამოვალთ, ვვარაუდობ და იმედს ვიტოვებ, რომ მან ცვლილებების ქვეშ მოიაზრა მთლიანად საკონსტიტუციო რეფორმა. სხვაგვარად მისი წარმოთქმული ფრაზა " რომ მომავალში ვერავინ ვერასოდეს ვეღარ მოახდინოს ხელისუფლების კონცენტრირება, უზურპირება და ეს იყოს ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილი ევროპული დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია", ვერ ჰპოვებს რეალიზებას. სხვათა შორის, ძალიან სწორად შენიშნა, რომ სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, კონსტიტიციის სახითაც, ახალ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ასეთი მემკვიდრეობა ან უნდა გააკეთილშობილო ან გააპატიოსნო. ამ შემთხვევაში, გვაქვს, მეორე ვარიანტი. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუცია სარკეა სახელმწიფოსთვის. მასში აირეკლება მისი რეალური გამოსახულება, არსებული მდგომარეობა. ეს ჩვენი სარკე კი, ამდენი ჭრაკერვისგან უკვე იმდენად გადაქერცლილი და დეფორმირებულია, რომ ზოოპარკში "სიცილის ოთახისათვის" თუ გამოდგება მხოლოდ, რადგან ქვეყანა მასში ფორმადაკარგულ, დაჭყანულ ფიგურად მოჩანს. ასეთი სარკე სააკაშვილის ტაკიმასხარობისთვის კარგია, მაგრამ სერიოზული დემოკრატიული პროცესისთვის, უვარგისი. ასე, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა გარდაუვალია. კოსმეტიკური ცვლილებები ვერაფერს გახდება. კოსმეტიკაზე გამახსენდა. კოსმეტიკას მიცვალებულსაც უკეთებენ, მაგრამ როდის იყო, კოსმეტიკა მკვდარს აცოცხლებდა. ხოდა, ვინახავთ ამ კოჰაბიტაციას ლენინივით, აგერ უკვე ოთხი წელია.

— რამდენადაც ვიცი, არიან ექსპერტები და სპეციალისტები, ასევე პოლიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონსტიტუციის ტექსტის გაუმჯობესებისთვის, სრულიად საკმარისია ცალკეული ცვლილებების შეტანა.

— ახალი კონსტიტუციის მისაღებად უამრავი ფაქტორი არსებობს. საშინაო, საგარეო, სამართლებრივი, ისტორიული და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, ერთიც საკმარისია კონსტიტუციის შესაცვლელად. ჩვენს შემხვევაში, უკლებლივ ყველა ფაქტორი, ახლის მიღებას მოითხოვს. ამის ანალიზს აქ ნამდვილად ვერ დავიწყებ, მაგრამ ხომ არ შევახსენოთ პატივცემულებს, რამ განაპირობა მოქმედი კონსტიტუციის და შესაბამისად, ქვეყნის კოლაფსი? ამ კონსტიტუციის აპოკალიპსი მაშინ დაიწყო, როცა საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე, ხელი დაადო კონსტიტუციას. თუმცა, ეს გააკეთა არსებული პროცედურისა და პროტოკოლის გამო, თორემ დიდი ხნის "დადებული" ჰქონდა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. უკონტროლო ძალაუფლებისაკენ მის მუდმივ ლტოლვას ორი გარემოება აფერხებდა: 1). მაშინდელი პრემიერ-მინისტრი და 2). კონსტიტუცია. როგორც კი მოეხსნა პირველი პრობლემა, ათასობით ადამიანის მსგავსად, მან კონსტიტუციაც მის პირად ტყვეობაში მოაქცია. რა თქმა უნდა, ის ხომ უკვე, ჰერო იყო, ამქვეყნად მოვლენილი "ღმერთისნაცვალი". მაგრამ, მანაც იცოდა, რომ როცა საპრეზიდენტო უფლებამოსილების მეორე ვიდაც ამოეწურებოდა, "დემოკრატიის შუქურა" ვეღარ შეძლებდა ზედიზედ მესამე ვადით არჩევას ერთი საპრეზიდენტო ციკლის გამოტოვების გარეშე. საერთაშორისო თანამეგობრობა არ გაუშვებდა. როგორც კი ეს გააცნობიერა, აქედან დაიწყო დატყვევებული კონსტიტუციის წამებაც, რაშიც თავისი პარტიული ბრიგადა და ამისათვის, სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია დაიხმარა. სწორედ ამ კომისიას დაევალა ცვლილებების ისეთი პაკეტის მომზადება ორაზროვანი, დუბლირებული ნორმების გამოყენებით, რომელიც სააკაშვილს, პრეზიდენტობის შემდგომ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე პირველკაცობას არ დაათმობინებდა და იმავდროულად, 5 წლიანი ციკლის შემდეგ, კვლავ გაპრეზიდენტებისას, ისევ ხელისუფლების ერთპიროვნულ ბატონ-პატრონად ამყოფებდა. და გაგრძელდა ის, რაც შეიძლება ერთი ერთიანი ფრაზით დავახასიათოთ: "კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა დაიწყეს რულონებით, რადგან სიამოვნებდათ უკანალის წმენდა ჩვენი კანონებით"...სახელისუფლო კონსტრუქცია, რომელიც შექმნა მაშინდელმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, მორგებუ-

ლი იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთ კაცზე-ყოფილ პრეზიდენტზე და მხოლოდ და მხოლოდ, იმდაგვარ რეალობაზე. განა, ძნელია მიხვედრა, რატომ ვერავინ აუღო ალღო ამ მოდელს. დაგავიწყდათ, როგორ შეიქმნა ორხელსუფლებიანობა? ამ თუნდაც ის, რომ ამ დუბლირებული და ორაზროვანი ნორმების წყალობით, როგორ მივიღეთ პირველ ხანებში სახელისუფლებო კრიზისი? ამ თუნდაც ის, რომ მუდამ საკინკლაო იყო, ვინ წასულიყო საერთაშორისო ფორუმებზე — პრემიერი თუ პრეზიდენტი? სააკაშვილის პირობებში, ეს ყველაფერი, გარკვეული იქნებოდა და არც რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა, რადგან ის იყო ერთმმართველი და მნიშვნელობა არ ექნებოდა, თვალის ასახვევად, პრეზიდენტის პოსტს დაიკავებდა თუ პრემიერისას. ეს კონსტიტუცია იყო და დღესაც არის, მისთვის ექსკლუზიურად შექმნილი ბრენდი. ის რომ გამოიყენო, ან უნდა იყო სააკაშვილი, ან მისი ანალოგი. სხვა ვითარებაში, სხვა ტიპის მმართველობისას, ის უვარგისია. ამიტომ ვამბობ, რომ დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პირობებში, ეს კონსტიტუცია ცალკეული ცვლილებებით რეაბილიტაციას, არ ექვემდებარება. შესაძლებელია დროებითი მანიპულაციებით მისი ხელოვნურ სუნთქვაზე გადაყვანა, მაგრამ მხოლოდ დროებით, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე.

— კი მაგრამ, თუკი ასეთი ვითარება იყო, ხომ შეეძლო უსუფაშვილის თავმჯდომარეობით შექმნილ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ახალ ვარიანტზე მუშაობა?

— ეს კიდევ ერთი დასტური იმისა, რაც ზემოთ მოგახსენეთ. არათუ გამოუცდელმა ხელისუფლებამ, სახელმწიფო კომისიამაც კი, რომელშიც საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის წევრებიც შედიოდნენ, ვერაფერი გააწყო მის შესაცვლელად. უსუფაშვილის პიროვნული თვისებებიდან და გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებთ, მას არ სჩვევია ასეთი დანაპირების შეუსრულებლობა, მაგრამ მან დაუშვა მეტად პრინციპული შეცდომა, რომელიც არ ვიცი, რით იყო განპირობებული: კომისიის მუშაობა წარმართა არა ახალი მოდელის შესაქმნელად, რომელზეც ლოგიკურად უნდა გადავიდეს ახალი ხელისუფლება, არამედ არსებული მოდელის ფარგლებში ცვლილების შესატანად. თითი-თითზე კი დააკარეს მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეს ძალისხმევა, იმთავითვე, განწირული იყო და შედეგიც ადეკვატური დადგა. ასეთივე შედეგი ექნება ყოველ ახალ მცდელობას მისი გაკეთილშობილებისა.

რადგან, საკონსტიტუციო ენაზე თუ ვიტყვით, საქმე ეხება სახელმწიფოს ლეგიტიმურობის ერთ-ერთი დონის — მმართველობის ფორმის შეცვლას. ეს გულისხმობს, საახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში ახალი საკონსტიტუციო წესრიგის შემოღებას, მის სრულ რეორგანიზაციას, ხელისუფლების შტოების სრულიად განსხვავებულ ინსტიტუციონალიზაციას და ურთიერთქმედებას.

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, დღეს არსებული მმართველობის ჰიბრიდული და უნიჭოდ გამოძერწილი კვაზი ფორმიდან, ქვეყანა გადადის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, მოქმედებდა საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი, თავისი სხვადასხვა ვარიაციებით, როცა სახელმწიფოს მეთაურს, ანუ პრეზიდენტს ენიჭებოდა პრიმატი სახელისუფლებო სისტემაში. კონსტიტუციურმა არამდგრადობამ და ამ ვარიაციულმა საპრეზიდენტო სისტემამ, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა სახელმწიფოს პერსონალიზაციამდე და ავტორიტარულ-დიქტატორულ მმართველობამდე. როგორც წესი, ევროპის ქვეყნებში, ასეთი დონის ცვლილებები რეფერენდუმის გარეშე არ წყდებოდა, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ამისათვის გარკვეული საკანონმდებლო საფუძველი, მართალია, დამახინჯებული სახით, მაგრამ მაინც არსებობს. ეს ცვლილება შინაარსობრივად იმდენად მოცულობითია, სრულმასშტაბიანი საკონსტიტუციო რეფორმის გარეშე, არაფერი გამოვა. ინსტიტუციური, სისტემური და ფუნქციური ცვლილებები შეეხება კომლექსურად ყველა სახელისუფლო შტოს — პარლამენტს, მთავრობას და პრეზიდენტს და არა მხოლოდ პრეზიდენტის ინსტიტუტს. ანუ, კონსტიტუციის მინიმუმ სამი თავი სრულ გადამუშებას ექვემდებარება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომწიფდა კონსტიტუციის დარჩენილი თავების გადასინჯვის აუცილებლობა, რომლებიც ახალ, თანამედროვე ხედვებს საჭიროებენ, განსაკუთრებით ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავების პერსპექტივაში, ცხადია, ცალკეული ცვლილებებით ეს ვერ გაკეთდება.

— ბატონო პაატა, ზოგიერთის მხრივ, ძალიან მტკივნეულად აღიქმება ცვლილების მოლოდინი პრეზიდენტის არჩევის წესში. ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის სურვილის გამო კეთდება ეს.

— ვიღაცეებს მართლაც სურთ ამ საკითხს მიანიჭონ მსგავსი ჟღერადობა. ისიც კი წავიკითხე, რომ ამას სპეციალურად უკეთებენ მარგველაშვილს, რომ ისედაც შემცირებული უფლებები კიდევ უნდა შეუმცირონ და ასე შემდეგ. ვისგანაც არ უნდა უნდა მოდიოდეს ეს, სხვას ვერაფერს ვუწოდებ, სისულელის გარდა. ასეთი ხალხი ან ელემენტარულ იურისპრუდენციაში ვერ ერკვევიან, ან შეგნებულად შეჰყავთ ხალხი შეცდომაში. ჯერ ერთი, მარგველაშვილი უკვე არჩეულია საერთო-სახალხო კენჭისყრით გზით და მისი უფლებამოსილების ვადაც განსაზღვრულია. მარგველაშვილის არჩევა პარლამენტის მიერ თავის დროზე ვერ მოხდებოდა, რადგან ამისათვის საკონსტიტუციო ცვლილება იყო საჭირო. რისი მიღწევაც მაშინ, პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა გადადანაწილების ფონზე, შეუძლებელი იყო. მეორე, სრული უმეცრებაა, თითქოს პრეზიდენტს ვინმე სპეციალურად უზღუდავს უფლებამოსილებას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პრეზიდენტს კი არ უმცირდება უფლებამოსილება, საპარლამენტო რესუბლიკის მოდელში, რა უფლებამოსილებაც უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს, ის ენიჭება. სხვაობას ვერ ხედავთ ამაში? ხოლო, რაც ენიჭება, იმას კიდევ, ვერავინ შეუმცირებს, ისევე როგორც, ვერავინ გაუზრდის უფლებამოსილებას პრემიერ -მინისტრს. რაც ეკუთვნის, ის მიენიჭება. და თუ, პრემიერ-მინისტრი არის სახელმწიფოს პირველი პირი, არა იმიტომ, რომ ის ამას ჩემულობს, ან ბიძინა ივანიშვილის სურვილია, არამედ იმიტომ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი

ითვალისწინებს ასე, რადგან ამ მოდელში იერარქიული და ფუნქციურ დატვირთვაა სხვაგვარი, ვიდრე საპრეზიდენტო, ან შერეულ მოდელში.

ამ ნიშნების მიხედვით, რა შუაშია ბიძინა ივანიშვილის სურვილი ან მისწრაფება, შეავიწროვოს პრეზიდენტი ან მის წინააღმდეგ წარმართოს კამპანია. ცხადია, რომ პრეზიდენტის არჩევითობის წესს განსაზღვრავს თავად მოდელი და რა საკმაზითაც ყალიბდება ეს მოდელი, ის უნდა გამოვიყენოთ ჩვენც.

რაც შეეხება საპარლამენტო რესპუბლიკის ეფექტიანობას, თუ გადავავლებთ თვალს მსოფლიო რეიტინგების და დემოკრატიის დონის მდგომარეობას, ვისაც მინიჭებული აქვს უმაღლესი "სრულფასოვანი დემოკრატიის" სტატუსი, 25 სახელმწიფოდან, 21 არის საპარლამენტო რესპუბლიკის ან საპარლამენტო მონარქიის ქვეყნები. ეს ქვეყნები არიან ასევე ლიდერები ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობით. დღეს უკვე აღიარებულია, რომ ყველაზე სრულყოფილი მმართველობის ფორმა არის საპარლამენტო რესპუბლიკა. თუ ვინმეს საპირისპირო არგუმენტი ამაზე დამავჯერებელი აქვს, სიამოვნებით მოვისმენ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ სწორი გზით მივდივართ და შესაბამისი საკონსტიტუციო გარანტიების შექმნით და მთავრობის ეფექტიანი საქმიანობით, შედეგი მალე აისახება რეალობაზე.

რაც შეეხება იმას, რომ დიქტატურა შეიძლება დამყარდეს, იმაზე მეტი დიქტატურა რა უნდა დამყარდეს, რაც იყო. იდეალური არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე, მაგრამ რა მოდელიც უფრო გახსნის ამ ქვეყნის შესაძლებლობებს, რაც უფრო მყარი შეიქმნება საკონსტიტუციო ბერკეტები ხელისუფლების კონტროლისა, მით ნაკლები იქნება შანსი ნებისმიერი გადახვევის. ეს იგულისხმა ალბათ, ბატონმა პრემიერ-მინისტრმა თავის განცხადებაში, მანამდე კი, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც რამოდენიმეჯერ მიანიშნა ამ მოდელის მიმართ სიმპათიები. და კიდევ ერთი. არის საკითხი, რომელსაც მე პირადად უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. რასაკვირველია, არ დავიჟინებ ამ პოზიციას, გინდა თუ არა ასე გადაწყვიტეთ თქო, მაგრამ, ვფიქრობ, სერიოზულ განსჯას ეს წინადადება იმსახურებს, რომელიც პირდაპირ თანხვედრაში მოდის პრემიერის გამოთქმულ მოსაზრებასთან, "რომ მომავალში ვერავინ ვერასოდეს ველარ მოახდინოს ხელისუფლების კონცენტრირება, უზურპირება" და მის ხედვასთან, დემოკრატიის განვითარებაზე.. ჩემი აზრით, ეს გახდებოდა დამატებითი არგუმენტი ქვეყნის ევროპულ ოჯახში ჩაწერისათვის, სხვათა შორის, ინფორმაციისთვის, ვენეციის კომისიასთან პირადი საუბრისას, მათ მიერაც იქნა გაზიარებული და მხარდაჭერილი ეს საკითხი. კონსტიტუციის შინაარსობრივი ცვლილების ინიციატივას დაემატოს ინიციატივა ახალი კონსტიტუციის მიღების წესის შეცვლის შესახებ, ანუ ახალი კონსტიტუცია მიღებულ იქნას საერთო სახალხო კენჭისყრის — რეფერენდუმის გზით. მაშინ ექნება კონსტიტუციას ლეგიტიმაციის, ხელშეუხებლობის მაღალი ხარისხიც, დაცულობის დონეც და სტაბილურობის პერსპექტივაც.

იცით, რატომ არის ძლიერი ამერიკა. იმიტომ, რომ მის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ამაყად განაცხადოს: „მე არც ქრისტიანი ვარ და არც ათეისტი. მე არც ებრაელი ვარ და არც მუსულმანი. ჩემი რელიგია არის ის, რისიც მწამს და მჯერა. და მას ეწოდება — ამერიკის კონსტიტუცია". ღირს ამ სიტყვებზე დაფიქრება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ᲒᲐᲘᲐᲤᲔᲑᲣᲚᲘ „ᲝᲓᲔᲡ-ᲢᲣᲠᲤᲐ“ ᲓᲐ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ᲨᲝᲗᲐ ᲒᲚᲣᲠᲯᲘᲫᲔ:

— ბატონო შოთა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ორივე ტური დასრულდა. როგორც რიგითი მოქალაქე როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას, შედეგით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— შედეგით კმაყოფილი არ ვარ იმ თვალსაზრისით, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის უფრო დიდ პროცენტულ სხვაობას ველოდი. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანების გარკვეული ნაწილი ე.წ. შუაშისტები შიშის ქვეშ იყვნენ — ვაი, თუ „ოდეს-ტურფა“ მართლა დაბრუნდესო და მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ სულაც არ ეპიტნავებოდათ, მაინც მას მისცეს ხმა. ხალხის მეორე ნაწილი, რომელიც გატარებული რეფორმებით უკმაყოფილო იყო, არჩევნებზე საერთოდ არ მივიდა და მივიღეთ სურათი რაც სახეზე გვაქვს. თუმცა, გაუქმებულ ბიულეტენებს არ მგონია სურათი არსებითად შეეცვალა. ანუ, რეალობა ისაა, რომ არმაგედონის დაპირების მიუხედავად, საკმაოდ წყნარი, მშვიდი არჩევნები ჩატარდა. კმაყოფილი ვარ იმ კუთხით, რომ მომდევნო ოთხი წელი გარანტირებული მშვიდობა გვექნება. თუ შიდა-არეულობა ან გარე საფრთხეები არ წარმოიშვა, დიდი შანსია, რომ ქვეყანა განვითარდეს და სიკეთისკენ წავიდეს. ამას ერთვის ისიც, რომ პირველად ჩვენი თავისუფალი ცხოვრების პერიოდში ძალიან ადეკვატური და საკმაოდ კომპეტენტური მთავრობა გვყავს. ისეთი მთავრობის მეთაური გვყავს, რომელიც შეიძლება სხვა ქვეყანამაც ინატროს, რაც ჩემში დადებით განცდას ქმნის. ჩვენ მშვიდობა გვინდა. თუ ომი, უბედურება არ იქნა, საქართველოს მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. სწორედ, ომის, უბედურების წინააღმდეგ მისცა ხალხმა ხმა მშვიდობას ამ არჩევნებში. შეიძლება ბევრი რამ არც მე მომწონდეს, მაგრამ ის, რომ ეს ძალა — „ქართული ოცნება“ რეალურად ჩამოყალიბების სტადიაშია, რაღაცებზე შეიძლება თვალიც დახუჭო. ვფიქრობ, ყველაფერი გამოსწორდება, გიორგი კვირიკაშვილის ფიგურა ამის თქმის საშუალებას მაძლევს.

— „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ახალი სახეა. მათზე რას იტყვით?

— გვინდა ყველაფერი იდეალური იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. წინა მოწვევის პარლამენტში „რესპუბლიკელები“ პირდაპირ ლობირებდნენ „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაციას და ცდილობდნენ ეს ძალა პოლიტიკურ ველზე დაეტოვებინათ. ალბათ, აქედან, რაღაც სარგებელი ჰქონდათ. „რესპუბლიკელები“ საკმაოდ მარგინალური ძალა იყო და კმაყოფილი ვარ „ქართულ ოცნებას“ რომ ჩამოცილდა. ახლა, „ქართულ ოცნებას“ ბუნებრივი განვითარების საშუალება მიეცემა. მისი ამომრჩეველიც და ტრენდიც კონსერვატიზმთან, იმ ტრადიციებთანაა დაკავშირებული, რომელშიც ქართველი ხალხი ცხოვრობს.

— „ნაციონალები“ პარლამენტში ისევ დიდი ოდენობით შედიან. ადრე მავანმა კოაბიტაციის რეჟიმი შემოგვთავაზა, ამჟამად, რა მოლოდინი გაქვთ?

— „ნაციონალური მოძრაობა“ დიდი იდეალებით შეკრული ძალა არასოდეს ყოფილა. სულაც არ მინდა მისი წევრები „ქართულ ოცნებაში“ ვიხილო, რომლებიც იქ, ისედაც საკმაოდ არიან, მაგრამ ჩემი პროგნოზით, ბევრი მათგანი, მარგინალური ნაწილის გარდა, თავის კეთილდღეობას წინ დააყენებს და „ქართული ოცნების“ კარზე ადგილის მოპოვებას შეეცდება. „ნაცმოძრაობა“ მალე აბსოლუტურად, მარგინალური ძალა იქნება. ცუდია, რომ კიდევ სხვა ძალა არ არსებობს, მაგალითად, მემარცხენე ძალა. ასეთი ხალხი პოლიტიკურ სივრცეში არის. იგივე, ახალგაზრდობაშიც არის მემარცხენე სულისკვეთება, ასეთი ძალის ხილვას პარლამენტშიც ვისურვებდი.

— მეორე ტურზე არეულობას ელოდებოდნენ რეგიონებში, მათ შორის, სამეგრელოში.

— სამეგრელოსთან დიდი კავშირი მაქვს იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე ზუგდიდელია და ამ მხარეს კარგად ვიცნობ. ზუგდიდში სულ სხვა გარემოებაა. ყოველ შემთხვევაში, აქ, „ნაცმოძრაობას“ არანაირი მხარდაჭერა არ აქვს. ზოგადად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, ვფიქრობ, უფრო მოსყიდვას ჰქონდა ადგილი ვიდრე ის, რომ ვიღაც გულით აძლევდა „ნაცებს“ ხმას. ახლა, შეიძლება პოლიტიკურმა სპექტრმა ჩამოყალიბება დაიწყოს. ადრე, პოლიტიკური სპექტრი არ გვყავდა, არამედ ტირანია, სექტა იყო, რის წინააღმდეგაც ხალხი ამხედრდა. ახლა, პოლიტიკურ ცხოვრებას ვიწყებთ, სადაც უნდა იყვნენ მემარჯვენეებიც, მემარცხენეებიც, ცენტრისტებიც. ასეთია, ევროპული ქვეყანა.

— თქვენ ახსენეთ, არ მგონია ნორმალურმა ადამიანმა ნაცებს მისცეს ხმაო. აბა, რა მოხდა რეალურად, როგორ დააგროვეს 500 ათასი ამომრჩევლის ხმა?

— ხომ იცით სინდრომი, როდესაც მძევალს თავისი მწამებლის მიმართ სიმპატია, სიყვარული უჩნდება. ასეთ რამესთან გვაქვს საქმე, რაც უფრო ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის პრობლემებია. ხალხს ვინც „ნაცმოძრაობით“ შეპყრობილია უნდა ვუმკურნალოთ, ნელ-ნელა ჯანმრთელ მოქალაქეებად უნდა ჩამოვაყალიბოთ. კი, გასაკვირია 500 ათასმა კაცმა როგორ მისცა მათ ხმა, მაგრამ თქვენ გგონიათ საქართველოში ნახევარი მილიონი ღატაკი არ არის?! ამ შემთხვევაში, არც 2012 წლის და არც ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ფქვილს და ფულს არ არიგებდა. ნაცები დღემდე ამ მეთოდით სარგებლობენ. არ მინდა ვთქვა, რომ ყველა ის ადამიანი ვინც მათ ხმა მისცა უღირსია. ზოგი ისეთ გაჭირვებაშია ის 20 ლარი შვილისთვის სჭირდება, რათა საკვები მიუტანოს, მათზე აუგს ვერ ვიტყვი. შევეცდები, ეს ადამიანები, ასეთი ბინძური ძალის ტყვეობაში მძევლებად არ იყვნენ.

— 500 ათასი გაჭირვებული შეიძლება მართლაც გვყავს, მაგრამ ნაციონალები მიტინგზე 10 ათას კაცსაც ვერ უყრიდნენ თავს. ხმების გაყალბებასაც ხომ არ ჰქონდა ადგილი?

— გაყალბება, როგორც ესეთი, უბნებზე არ ყოფილა. რეალური კვლევების თანახმად, თითქოს, 10-12% უნდა მიეღოთ, მე ესეც მიკვირდა, თუმცა მათ გოგორიშვილისა და მაჭავარიანის სახით ისეთი ტექნოლოგები ჰყავთ, ალბათ, ნოუ-ჰაუ მოიფიქრეს. ახლა, მთავარია ქვეყანა ავაშენოთ, განვავითაროთ. „ნაცმოძრაობა“ დამთავრებულია და ნულარ გადავყვებით იმის ძიებას როგორ მოხვდა მათი 30 კაცი პარლამენტში.

მე, მშვიდობას და ნორმალურ განვითარებას ვუჭერ მხარს. მერე კრიტიკაც იქნება, გულხელდაკრეფილი ჯდომას არ ვაპირებ. მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ოცნება“ ჯანსაღ კრიტიკაზე ადეკვატურად რეაგირებს. ისინი ხალხს უსმენენ, ადეკვატურები არიან. ზუსტად ესაა ისეთი ხელისუფლება, რომელშიც შეიძლება შიგნით ფრაქციებიც გაჩნდეს, მოხდეს მემარცხენე იდეების, ვიღაცის მხრიდან კონსერვატიული იდეების ლობირება და ა.შ. ცუდს ვერაფერს ვხედავ თუ „ქართული ოცნება“, მისწრაფებების მიხედვით, ფრაქციებად დაიყოფა და ნორმალურ პოლიტიკურ პროცესს მივიღებთ.

— არაერთხელ გვსმენია, რომ ნაციონალები ბანდიტები, ფაშისტური რეჟიმი იყო, მაშინ რა უნდა ბანდიტს პარლამენტში?

— დიახ, რა თქმა უნდა, ესეა, მაგრამ რაღაც გარემოებებს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ხომ არ შეიძლება ქვეყანა რაღაც ჟინს გადავაყოლოთ. რიგი გარე ძალები ნაცებს ძლიერად უჭერენ მხარს. ეს ძალები უკვე დასავლეთშიც მარგინალები არიან. ნელ-ნელა ისინიც მიხვდნენ, რომ აქ, არაფერი აღარ გაუვათ. ვერ ვიტყვი, რომ დაგვეხსნებიან, მაგრამ მგონია რომ მეტი თავისუფლება გვექნება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ბევრ ნაწილში ეს შესრულდა. შეიძლება რაღაცები ნელა ხდება. იმედი მაქვს, რომ ძალიან მძიმე დანაშაულებს პასუხი გაეცემა. „ნაცებისგან“ მონანიების სურვილს ვერ ვხედავ, საკმაოდ შეპყრობილი ხალხია. მათ შვილები, ოჯახები ჰყავთ და ქვეყანას ანგარიშსწორების ველად ვერ გადავაქცევთ. ეს ძნელი საქმეა. პირველ რიგში, წართმეული ბიზნესები უნდა დაბრუნდეს. მეც წამართვეს თეატრი და რა ხანია კიდევ ნაცების ხელშია. წინ, მომავლისკენ უნდა ვიყუროთ და მშენებლობა დავიწყოთ. ძალიან ბევრი პროექტია, რაც სიკეთეს მოიტანს.

8 გვ.

საკაშვილს უჭირია, ისეთი ცუდი დრო დამიდგა, სიკვდილი მინდა, მაგრამ ეგაც არ გამოვა: ჯოჯოხეთის მეშინია და სამოთხის მრცხვენიაო...

ამ საარჩევნოდ... ზოგმა გადაიხადა, ზოგმა გაიხადა, ზოგმა იჭორავა, ზოგმა მესიჯები გამოგვიგზავნა, ზოგმა ზოგი გადაადგო, ზოგმა საკუთარი პარტია მიატოვა, ზოგმაც კოალიცია, ზოგმა იმ ხელს დაუწყო კბენა, საიადანც იკვებებოდა, უკეთესი ხელის მოლოდინში და საერთოდაც უხელოდ და უსაკვებოდ დარჩა, ზოგი გაიქცა, ზოგი გაგვექცა, ზოგი გვაბრიყვებს, არც გაქცეული ვარ და არც დარჩენილიო...

ზოგმა კიდევ „იოლკა“ იუკადრისა...

ასე ეძახიან მეორე „კრუგს“ გურიაში: სატირალში მიცვალებულის შვილიშვილის მეგობრები მივიდნენ, აერიათ, გასცდნენ კარს და მეორე წრეზეც ჩამოუარეს... ამოხედა მომტირალამ ჭირისუფალმა – რაია, ბაღნებო „იოლკააო“?

ჰოდა, ვისაც „იოლკაზე“, ანუ მეორე „კრუგზე“, ანუ მეორე ტურში გასვლა დაეზარათ, ისინი პოლიტიკიდან წასასვლელად გაემზადნენ... რათქმაუნდა, წასვლის წინ, კიდევ ერთხელ მოგვამადლეს თავიანთი არშემდგარი პოლიტიკური კარიერა...

მორიდებულმა და წყნარმა ბიჭმა ალასანიამ, რომელსაც მუდამ ქორივით გადაეფოფრებოდნენ ხოლმე ცოლი, ცოლისდა და ნინო გოგუაძე, ამჯერად თავად გვაჯახა პოლიტიკიდან წასვლის სასტიკი გადაწყვეტილება... მივდივარ და სად მივდივარ არ ვიციო... მაგრამ, მე მაინც მივდივარო... თუ ამას წასვლა ჰქვია, კი, ბატონო, მიბრძანდით, მე კი კიდევ ერთი ანეგდოტი გამახსენდა და ისევ გურულზე და არ მიწყინოთ:

სტუმარს გაუგრძელდა ქეიფი გურულის ოჯახში: ჭამა, დალია, დათვრა, იმღერა, ჩამოეძინა კიდეც მაგიდასთან, მაგრამ არა და არ მიდის... მერე, როგორც იქნა, ამოსწია საცივიდან დამძიმებული თავი და თავგანწირულად შემოსძახა – ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს...

– ჭიშკარს ხომ ხედავ, ბიძია, ჭიშკარს – ვეღარ მოითმინა გურულმა მასპინძელმა.

ალასანია მზეს ხედავ, სულ ხედავს, მისთვის მზე არ ჩადის, იმიტომ, რომ ალასანიას სამი მზე ჰყავს, ერთი ჩავა, მეორე ამოვა, მეორე ჩავა და მესამე შეენაცვლება...მაგრამ, აი, ჭიშკრის დანახვა უჭირდა ცოტათი...

პირველი ტურის მერე, მოემატა მხედველობა თუ მიასწავლეს გზა, ვერ გეტყვით, მაგრამ მიუგნია ჭიშკრისთვის და არ დამღუპოთ, წინ არ გადაუდგეთ...

ისე ეს 8 ოქტომბერი რამდენი პოლიტიკოსისთვის გამოდგა თარსი, ჰა?

მეორე მხრივ, 8 ოქტომბერმა რამდენი თარსი პარტია მოგვაშორა, ჰა?

იქ, კიევში საკაშვილს უტირია, ისეთი ცუდი დრო დამიდგა, სიკვდილი მინდა, მაგრამ ეგაც არ გამოვა: ჯოჯოხეთის მეშინია და სამოთხის მრცხვენიაო...

სანდრას კი სწრაფი გურულივით დაემართა, ოცნებაში და ფიქრებში მანდატიც ჯიბეში ედო და პარლამენტშიც უმრავლესობით იყო მოხვედრილი, იმ კაცის არ იყოს, მატარებელში რომ უცხო ქალს მიაშტერდება... შემობრუნდება ანაზდად ქალი და ცივად ეუბნება, ისე მომაშტერდით, თვალებით ლამის არის გამხვრიტოთ და რა ხდებაო?

– რას ბრძანებთ ქალბატონო, თქვენ უკვე იცმევთ და მე სიგარეტს ვეწევიო...

ჰოდა, რა წამსაც ოცნებები დაემსხვრა, სიგარეტიც არ გაუბოლებია, ისე მყისიერად გაახსენდა ავადმყოფი დედა და მოსანახულებლად გავრბივარო, დაგვიბარა, არ გეგონოთ, ქმარმა დამაშინა და იმიტომ წავედიო... მართალია, დედა მაშინაც ცუდად ჰყავდა, ზუგდიდის პარკში, ჟორჟოლიანთან ერთად, ძაღლს რომ ასეირნებდა და ღიღინებდა, მანამდეც ცუდად ჰყოლია, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, მაგრამ პირველი ტურის წაგებამ შვილის ინსტიქტი გაუღვივა და რა ჰქნას, არ გაემტყუნება, დედა წმინდაა... რათქმაუნდა, პარლამენტარის მანდატის შემდეგ...

რას შეეხება „ნაცებს“ ეგენი მთელი ოთხი წელი ვოლგის „პაკრიშკასა“ჰგვანდნენ, ქვეყანაზე რომ ერთი ლურსმანიც არ გდებულიყო, ეგენიც მაინც მოძებნიდნენ, შეირჭობდნენ და მერე დარბოდნენ, გვაჩვენებდნენ ამ ლურსმანსა და ხან ვის აბრალებდნენ და ხანაც რას...

არჩევნების მერე დაიყვნენ – დაიყვნენ უიღბლო, იღბლიან და უფრო იღბლიან „ნაცებად“

უიღბლოები სახლებში დაბრუნდნენ, იღბლიანები პარლამენტში მოხვდნენ და უფრო იღბლიანები კიდევ „ქართულ ოცნებაში“...

ჰოდა, მიხეილ მაჭავარიანი გაუშვიათ „ნაციონალებიდან“ „ოცნებისკენ“ გამოქცეული „ნაცების“ დასაზვერად... შეშინებული დაბრუნებულა მაჭავარიანი, ვერ არის ჩვენი საქმე კარგადო...

ჰოდა, იუკადრისეს შეშინებული მაჭავარიანი „ნაცებმა“ და სადღაც ბოლოსკენ გადაისროლეს...

არ წასულა, მაგრამ არც დარჩენილაო, სხვისი არ არის, მაგრამ არც ჩვენიაო, ჩვენ ახალი სისხლი და ახალი სახეები გვჭირდება, მაგრამ მაჭავარიანი იყოს სადღაც, უკანა რიგების უკანო, ჩვენ აღარ შევინახავთ, მაგრამ არც ვაშიმშილებთო... ბიჭოს, ეგ კაცია თუ საპენსიო ფონდი, ჰა?

ჩემმა მკითხველმა იცის ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება უსუფაშვილთან და მიხვდებოდა უკვე, რომ არც ბატონ დავითს დავიტოვებდი ანეგდოტის გარეშე:

მიხო პარაშუტით გადმოხტება და ქვევით დაეხვევიან ჟურნალისტები: – რა შეგრძნება დაგრჩათ ბატონო მიხო, რომ მოფრინავდით, ადრენალინი მოგეწონათო?

– რავი ჯო, კაი კი იყო, ცოტა სუნი ქონდა მურტალიო !

ჰოდა, ისკუპა უსუფაშვილმა, იფრინა, გადაუფრინა ევროპასა და ამერიკას, ევროპა მთლად მისი მომხრე და მოსიყვარულე ეგონა და თავადაც, ამ უანგარო სიყვარულის სანაცვლოდ ოჯახის კონსტიტუციურ განსაზღვრაზე უარი განაცხადა, ამერიკის ჯარი ვერ ჩამოიყვანა, მაგრამ დაგვპირდა ჩამოყვანას, არჩევნებზე ზღვარი ვერ გადალახა, მაგრამ იბაქიბუქა... მერე, როცა ცუდი სუნი ეცა – წავიდა, წავიდა და შეგრძნება დამიტოვა ისეთი, მგონი ნაძლევი ჰქონდა დანარჩენ „რესპუბლიკელებთან“ დადებული და წააგო...

აკი, წინასაარჩევნო მარათონის დროს „რესპუბლიკელები“ მხოლოდ ხიდაშელთან და უსუფაშვილთან ასოცირდებოდა, ისე მიჰყავდათ კამპანია, ეტყობა ამუნათებდნენ პარტიელებს, ჩვენ ისეთი დიდნი და წონიანნი ვართ (როგორც პოლიტიკოსებიო), რომ დაგვაცადეთ, ამათ ჩვენც ვეყოფითო... დანარჩენნი არ იყვნენ ეტყობა გამოსაჩენნი... ჰოდა, ჩრდილში მდგარმა „რესპუბლიკელებმა“ ამოიდგეს ენა, ჩვენ რადიკალები ვართ, ესენი ვინ იყვნენ, რა გვიქნესო...

და წავიდა უსუფაშვილი... პირველ დღეს განაცხადა, პარტიიდან მივდივარ, პოლიტიკიდან კი არაო, ახლა მოლაპარაკებებს დავიწყებ პოლიტიკურ ძალებთანო... რომელ ძალებთან, ნეტავი? ახლა ასე ჰქვია ივანიშვილს? პოლიტიკური ძალები? ისევ „ქართულ ოცნებასთან“ მობრუნდებით, ანუ? რა სინდისით? რას ეტყვით? შემიფარეთ 2020 წლამდეო? თუ მარჩინეთ 2020 წლამდეო?

მერე, გადაიფიქრა, არაო, მე საერთოდ მივდივარ პოლიტიკიდანო, არც თანამდებობა მინდა, არც სკამიო... არავინ გადახიათ კალთები, ბატონო დავით?

აბა, სად მიბრძანდებით? სახლში? როგორ? წინსაფარს შემოიკრავთ წელზე და ხაშლამას დაამზადებთ? პრინციპში რა არის ამაში ცუდი, მარტო ქალები კი არ ვიცით „კუხნაში“...

ისე, რას ერჩიან თანაპარტიელები ამ უსუფაშვილს, მასწავლებელ ბერძენიშვილს ხეზე ასვლა არ უსწავლებია, მაგრამ ხეზეც ავიდა და პარლამენტის თავზეც იჯდა კარგა ხანს, იბრძოდა როგორც შეეძლო კი არადა, როგორადაც არ შეეძლო, ისეც კი იბრძოდა...

ყაზბეგამდე სოფელია ერთი არშა... ჰოდა, ერთი ქალი მიდიოდა თურმე იმ სოფელში, ხელს უქნევდა გამვლელ მძღოლს და ხმამაღლა ეძახდა, არშამდის, არშამდისო...

კახელი იყო მძღოლი და მიაძახა – დაუფურთხე ქალო, დაუფურთხეო...

კი, არც დაფურთხება დაუკლიათ, ცოლ-ქმარს ბატონო, არც შეფურთხება, არც გადმოფურთხება და მაინც თუ ვერ გადალახეს ზღვარი, რა ჰქნან, რას ემართლებიან, ჰა?

ხიდაშელზეც ჩაეკითხნენ, სახლისკენ მიმავალ უსუფაშვილს... არ მიმატოვეს მე ჩემი თინა, სადაც მე ვიქნები იქ იქნება ისიცო...

8 ᲒᲒ.

გაიაფებული „ოდეს-ტურფა“ და ჩაფლავებული „ნაცმოძრაობა“

6 გვ.

ვფიქრობ, დასავლეთის გავლენა ნელ-ნელა სუსტდება. ეს კარგია-მეთქი ვერ ვიტყვი. ეს იმ ფონზე მოხდა, რომ დიდი პროექტები ჩავარდა, თუნდაც მულტიკულტურალიზმის, რაც ევროპაში ლტოლვილების ნაკადმა გამოიწვია. ევროპის დიდ ნაწილში ხელისუფლებაში უფრო კონსერვატიული ხალხი მოდის, ლამისაა ფაშისტური პარტიები მოვიდნენ. ეს არ მომწონს, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ ლამისაა ტერორისტების დაცვას ითხოვდნენ. ევროპელებმა თავის ტყავზე გამოსცადეს ყოველივე, მძიმე ამბები მოხდა საფრანგეთში, ნიცაში. ჩვენს გარშემო სამყარო იცვლება და არ მგონია ზეწოლა იყოს ისეთ საკითხებზე, რაზეც ადრე არაადეკვატური მოთხოვნები იყო. ჩვენთვის და შეიძლება ევროპისთვისაც უფრო კარგი დრო დგება. მათაც წარსულში უნდა ჩაიხედონ. ის ყველაფერი თუ გამოეცალა, რის გამოც ჩვენ ევროპა გვინდა და ვისწრაფოდით, მაშინ რაღა გვინდა ?! თუ იქ ტერორისტები დაგვხვდნენ — ხალხი, რომელსაც არანაირი რწმენა, მორალი, ზნეობა არ აქვს, ასეთი ევროპა რად გვინდა? სხვათა შორის, რუსეთის მომავალიც ევროპაშია. რუსეთშიც ცვლილებებია. მგონია, რომ რუსეთის ადგილი ევროპაშია, რუსეთიც ევროპაა. ჩვენთვის თავის დროზე რუსეთიდან მოვიდა ევროპა, განათლებაც და ყველაფერი. ახლა, სამწუხაროდ, რუსეთი ჩვენთვის უარყოფითი ფაქტორია. რუსულ კულტურაზე გავიზარდეთ. ამიტომ, არ შეიძლება რუსეთთან მიმართებაში ფობიაში ჩავვარდეთ, პირიქით, უნდა შევეცადოთ რუსეთისთვის ურთიერთობის მოდელი ვიყოთ, ხიდი ევროპას და რუსეთს შორის. ჩვენ, ევროპის აბსოლუტურად, თანაბარუფლებიანი ნაწილი ვართ იმიტომ, რომ წლების მანძილზე საქართველო ევროპას შემოსევებისგან იცავდა. თუ ვინმეს სიტყვა ეთქმის, ერთ-ერთი ჩვენ ვართ. მოდით, ნუ ვართ მთხოვნელის პოზიციაში და ცოტა ჩვენი ღირსება დავიცვათ და იქ, ღირსეულად შევიდეთ.

შეიძლება ევროკავშირი დაიშალოს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ, სხვა ევროპის წევრები ვართ. ჰერმან ჰესე ამბობდა: ჩემთვის არ არსებობს მეფეების და ომების ისტორია, ჩემთვის სულიერი ისტორია არსებობსო. ჩვენ იმ სულიერი ევროპის ნაწილი ვართ. ჩვენთვის, როგორც ნოვალისთანაა — მამის სახლში დაბრუნება არის ევროპაში დაბრუნება. მე ყოველთვის ვბრუნდები მამის სახლშიო, ნათქვამია ნოვალისთან. ეს მუდმივი წასვლა და დაბრუნება ერის, ნაციის პროცესია.

რაც შეეხება „ოდეს-ტურფას“ დაბრუნებას, ჟარგონი რომ ვიხმარო, ფუფლოა. ეგ არანაირი დამბრუნებელი არ არის, დიდი ვაჟკაცი არასოდეს ყოფილა. ეს უფრო იმას ჰგავს იმპოტენტი რომ იბრალებს, მაგარი მამაკაცი ვარო.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სააკაშვილს უტირია, ისეთი ცუდი დრო დამიდგა, სიკვდილი მინდა, მაგრამ ეგაც არ გამოვა: ჯოჯოხეთის მეშინია და სამოთხის მრცხვენიაო...

7 გვ.

მართალია, ჯერ თავად თინა ხმას არ იღებს, არ უთქვამს, ოღონდ შენთან ერთად ვიყო და პარლამენტის თვამჯდომარის სკამზე კი არა, ნაჯახის ტარზეც კი დავეტევით, ვითარცა მოსიყვარულე ცოლ–ქმარიო... მაგრამ, მეორე მხრივ, რა სინდისით უნდა მიატოვოს ახლა, ამ მძიმე ჟამს მეუღლე, როცა თავად უჭირდა იმ ავადსახსენებელის, თუ ავადსახსენებელი კადრების ხილვა, უსუფაშვილი ხომ უხმოდ დაუდგა გვერდით და ეს კადრები მთელი ოჯახის ტრაგედიადაც აღიარა... სულაც არ არის ეს ამბავი სასაცილო, მაგრამ ერთი ანეგდოტი გამახსენა და რა ვქნა...

მაროს მეზობელი ქალი მიადგება, ამეღამ თქვენთან გამათევინეთ, თორემ ქმარს

ვუთხარი რომ ვუღალატე და გამომაგდოო...

მარო დამცინავად შეხედავს, რა სულელი ყოფილხარო, მე ჩემს მიხოს მიტოსთანაც ვღალატობ, შაქროსთანაც და ვანოსთანა მაგრამ კი არ ვეუბნებიო...

ამ დროს მიხო „კუხნიდან“ გამოსძახებს: – მეტყვი, ქალო და დედასაც გიტირებო...

ისე, ცოტა რომ დავსერიოზულდე, კითხვა მაქვს მოკრძალებული დაშლილ–მოშლილებთან, მთელი ოთხი წელია დაგვძახით, აჰა, ეს ერთი ივანიშვილი მართავს მთავრობას და საქართველოსო და არ შეიძლებაო, ერთპიროვნული მმართველობაო, ესაო, ისაო...

ანუ, ერთა კაცმა დაგშალათ და დაგანაწევრათ? ერთმა კაცმა გაგისტუმრათ უმტკივნეულოდ სახლებში?ერთმა კაცმა გადაახალისა კოალიცია და მოაშორა შხამიანი ნამატები? აფერუმ, მაშინ იმ ერთ კაცს!

ახლა თქვით თუ მაგარი ბიჭები და გოგოები მყევხართ, იმ ერთმა კაცმა დაგვშალაო! ოღონდ, პინგვინმა დაგვიდო კვანტიო, არ მითხრათ, არ მაწყენინოთ, ასეთ სულელსაც არ ვგევარ!

აუფ, პინგვინზე საქართველოს პრეზიდენტი გამახსენდა და მკრეხელობად ხომ არ ჩამეთვლება?

ის ანეგდოტი იცით, ჭიჭიკია და ბიჭიკია რომ მიტინგობანას თამაშს დაიწყებენ?

მოკლედ, ბიჭიკია ეტყვის ჭიჭიკიას, მოდი მიტინგობანა ვითამაშოთ, შენ პრეზიდენტი იყავი და მე ხალხი ვიქნებიო.

კარგიო – ბიჭიკიამ....

ჰოდა, შეაგინებს ჭიჭიკია ბიჭიკიას...

– ვინ შემაგინა მეო, წამოხტება ბიჭიკია...

– კაი ბიჭიკია, რას გეიგებ ამდენ ხალხში ვინ შეგაგინაო – დაამშვიდებს ჭიჭიკია...

ჰოდა, ჩემს მშვიდ პრეზიდენტს ვენაცვალე... წარბს არ აიტოკეს... როგორ მშვიდადაც წერდა პრეზიდენტობამდე უსარგებლო პამფლეტებს, ისე უსარგებლოდ გალია ეს წლები... ჩვენთვის უსარგებლოდ, თორემ, თავად დაქორწინდა, ცუდი და კარგი ვისკის გარჩევა ისწავლა და ბოკერიასაც დაუმეგობრდა მყარად...

მხოლოდ ორი რამ უღრღნის გულს ჩვენს პრეზიდენტს: ერთი – მერაბიშვილის საკნის შეცვლა და მეორე – პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა...

მაგრამ, აი, მალე აღარ იქნება პრეზიდენტად და ეს ორი დარდიც მოშორდება გულიდან... მართალია, საშიშია, რეზიდენციის ფუფუნების გარეშე დეპრესია არ დაეწყოს, მაგრამ, რავარც ეგ ნერვიულობდა აქამდე ჩემს დეპრესიაზე და ფუფუნებაზე, მეც ისე რომ ვინერვიულო, რა მოხდება? თვალი თვალის წილ, ბატონო პრეზიდენტო! – მეც კარგად ჩავაფილოსოფე, ნახეთ...

ჰოდა, ერთ წვიმიან ან თოვლიან დღეს (ზამთარი მოდის უკვე და იმიტომ, ზაფხულამდე კიდევ თქვენ ვერ მიაღწევთ, ვგრძნობ) გამეღვიძება და აღარ დამხვდებით პრეზიდენტის სავარძელში ჩაფლული, გამეღვიძება და სახლში დამხვდებით წასული, გამეღვიძება და თქვენი პამფლეტები და ნაქსოვი წინდები აღარ იქნება მოდაში...

მანამდე კი, დროებით, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი დაშლილი, დაქსაქსული, სახლში წასული მეგობრებიანად...

გურიაში, სუფრის დასასრულს დაშლა–არმოშლის სადღეგრძელოს მიირთმევენ.

ამჯერად, კორექტივი შემაქვს და არ მიწყენენ ჩემი გურულები: ამათ დაშლას და ჩვენს არმოშლას გაუმარჯოს!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

რა იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობის ძირითადი მიზეზები?

28 ოქტომბერს საქართველოს პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან 26 წელი შესრულდა

30 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა, 28 ოქტომბერს კი პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან 26 წელი შესრულდა.

საქართველოში გამართულ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე კონსტანტინე გამსახურდია გვიამბობს:

– 26 წელი გავიდა დღიდან, როცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების სახით, დიდი ძვრა მოხდა. არჩევნები იყო ლოგიკური დაგვირგვინება იმ ეროვნული მოძრაობისა, რომელმაც სათავე 1988 წლის 26 მაისის მიტინგიდან აიღო და თავის აპოგეას 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის აქციებზე და 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციებზე მიაღწია, რომელიც უხეში ძალის მიერ იქნა ჩახშობილი. ამის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ხაზმა, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა, უარყო ეროვნული კონგრესის მიერ შემოთავაზებული ორი პარლამენტის გეგმა, რომელთაგან ერთი ოფიციალური უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე არაოფიციალური, ანუ ეროვნული კონგრესი. იმავდროულად, არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით, დაიწყო კომუნისტურ ხელისუფლებაზე ზეწოლა და მოლაპარაკებები, რაც წარმატებით დასრულდა და 1919 წელს არჩეული დამფუძნებელი კრების, ანუ 71 წლიანი წყვეტის შემდგომ, საქართველოში მეორე პარლამენტის არჩევნები ჩატარდა. არჩევნების შედეგები ნეიტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაითვალა და ყველაზე მძვინვარე მტრებმაც კი ვერაფერი თქვეს გაყალბებაზე, მანიპულაციაზე, თამაშის წესების დარღვევაზე თუ რაიმე რესურსების გამოყენებაზე ანუ იმაზე, რასაც წლების მანძილზე ვხედავთ და ვისმენთ. ერთადერთი, რაც ჩაილაპარაკეს, ალბათ ხალხი შეიშალაო. ეს იყო საბჭოთა კავშირის სივრცეში უპრეცენდენტო, მრავალპარტიული არჩევნები, რომელმაც გახსნა გზა რეფერენდუმისკენ და რომელსაც შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. ასე დაიწყო საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორია.

– ამის შემდეგ განვითარებულ პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, მიიღო თუ არა საქართველომ თავისუფლებისთვის ბრძოლიდან ის შედეგი, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება ელოდა?

– ფორმალურად, მიიღო. ფორმალურად, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ის წავიდა ტიპიური პოსტსაბჭოთა ქვეყნების, განსაკუთრებით, ყაზახეთის, ბელორუსიის და აზერბაიჯანის გზით.

ჩვენ გვინდოდა ნამდვილი, მრავალპარტიული დემოკრატია, სადაც სახელისუფლებო პარტია უფრო მეტად გაითვალისწინებდა საზოგადოების აზრს, მაგრამ პრაქტიკულად, ყველა ხელისუფლება, რომელიც 1992 წლის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოვიდა-საზოგადოების მარგინალიზაციას ეწევა.

– დღევანდელ ხელისუფლებას ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაში სდებენ ბრალს, ზვიად გამსახურდიას ნაკლად კი პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ლავირების უნარის ნაკლებობა და სიხისტე მიაჩნდათ.... მაშინ სხვა ვითარება იყო. კომუნისტური პარტია დიდ როლს არ თამაშობდა. მთავარი ოპოზიცია კონგრესის პარტიები და იქ მყოფი პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებიც არანაირ კოჰაბიტაციაზე არ დათანხმდებოდნენ. მათი პრინციპი – ყველას მინუს ერთი ანუ ზვიად გამსახურდია კოჰაბიტაციას არ ითვალისწინებდა. რა თქმა უნდა, ეს პარტიები მეტწილად მოსკოვიდან იმართებოდნენ, მოსკოვს კი ზვიად გამსახურდია არ ჭირდებოდა.

– ჯორჯ ბუშის შეფასებამ, რომ ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, გვაჩვენა, რომ ზვიად გამსახურდია არც ამერიკას ჭირდებოდა..

– მოდი, ასე დავსვათ კითხვა– დინება რა იყო? დასავლეთმა დიდი ხნის მანძილზე ვერ განსაზღვრა და შეაფასა საბჭოთა კავშირის დაშლა მისთვის კარგი იყო თუ ცუდი, ამიტომ ხელი აიღო ეროვნული ხელისუფლების დაცვაზე. ისინი ცდილობდნენ, გორბაჩოვს დახმარებოდნენ, რათა ამ უკანასკნელს საბჭოთა კავშირის უფრო ლიბერალიზებული ვარიანტი შეექმნა, ვიდრე მანამდე იყო. სწორედ ეს იყო დინება. ჯორჯ ბუში პირდაპირ ასე აყენებდა საკითხს– თუ თქვენ გორბაჩოვის მეგობრები არ ხართ, ვერც ამერიკის მეგობრები იქნებით.მე ვთვლი, რომ იყო რაღაც ფაქტორები, რაც ჩვენზე კი არა, გარეშე ძალებზე იყო დამოკიდებული. როგორც არ უნდა ემოქმედა ზვიად გამსახურდიას, ოპოზიციისთვის მიუღებელი იქნებოდა. დსთ-ში რომ შესულიყო, აუცილებლად ამ კუთხიდან მოხდებოდა დარტყმა, თუმცა 1993 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში თავად შევიდნენ. ზვიად გამსახურდიას მიმართ ასეთი ბრალდებები რაღაც „თითიდან გამოწოვილს“ ჰგავს. განსაკუთრებით იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც პოლიტკის გაგებაში არ არიან და იმ ვითარებაში რა ვითარებაშიც ზვიად გამსახურდია იმყოფებოდა, საერთოდ ვერაფერს შეძლებდნენ.

– და მაინც, დღევანდელი გადმოსახედიდან, რა შეიძლებოდა უკეთ გაკეთებულიყო, რომ იმ შედეგამდე არ მივსულიყავით, რაც, დადგა?

– ალბათ, ერთადერთი, რაც უნდა გაკეთებულიყო, დაჩქარებული ტემპით უნდა შექმნილიყო შეიარაღებული ძალა, რომელიც ქვეყანას და ხელისუფლებას დაიცავდა. საქართველოს მსგავსი ქვეყნის პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ერთგული თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ჰყავდეს. ყველაფერი, ყველანაირი კულტურა და განათლება გვერდით უნდა გადაგვედო და მთელი სახელმწიფო რესურსი უნდა ყოფილიყო მობილიზებული, რომ ქვეყანას ძლიერი ძალოვანი სტრუქტურები ჰყოლოდა მაგრამ ამის დროც არ იყო. ძველი, საბჭოთა კადრების გაშვებას, პროფესიონალების შენარჩუნებას და ახალი კადრების მოზიდვას დრო ჭირდებოდა. დრო კი აღარ იყო, რადგან არც თავდაცვის და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ფუნქციონირებდა. ეს არის ხელისუფლების დამხობის ძირითადი მიზეზი. ეს რომ ყოფილიყო, დამიჯერეთ, იმ ხელისუფლებას ვერავინ დაამხობდა. რამდენად გვაძლევდა დრო ამის საშუალებას, ეს კიდევ სხვა საკითხია..

– 1993 წლის 18 ოქტომბრის კადრების გავრცელების შემდეგ, გაისმა ინიციატივა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე აუცილებელია სარიშვილის დაკითხვა. რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე და ირინა სარიშვილის მონანიებაზე?

– პირადად მისთვის შესაძლოა, ეს მონანიება კარგია, მაგრამ საქმეს რა თქმა უნდა, ვერ გამოასწორებს. რაც გასაფუჭებელი იყო, უკვე გაფუჭდა. რაც დასანგრევი იყო, უკვე დაინგრა, ვინც მოსაკლავი იყო, მოკლულია.. აქ სარიშვილი კი არა, ის გეგმაა საინტერესო, რომელსაც ის ახმოვანებს. იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც წესით, ამ გეგმის უკან უნდა იდგეს, ხშირად თავის სათქმელს სხვისი პირით ახმოვანებდა. მერე იმ ადამიანს ჯერ ორდენს მისცემდა, შემდეგ კი დაიჭერდა ან მოკლავდა. სარიშვილი ალბათ უნდა დაიკითხოს, მაგრამ ის ხომ არ იტყვის, რომ შევარდნაძის გეგმას ახმოვანებდა? თუმცა თუ გონიერია, უნდა თქვას.

– ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერები ყოფილ თუ ამჟამინდელ ხელისუფლებას ხშირად საყვედურობდნენ, რომ 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების სათანადო შეფასება არ მოხდა. რომ დამნაშავეები დღემდე დაუსჯელები არიან და ჩადენილი დანაშაულის გამო, მორალურ პასუხისმგებლობასაც არ გრძნობენ. აკაკი ბობოხიძე თავსაც კი იწონებს, რომ სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორი და მონაწილეა..

– ჩვენ არ ვიცით იმ პროცესებში ამ ადამიანების როლი ზუსტად, ამომწურავად და დეტალურად. ამას ჭირდება ლუსტრაცია, რომელიც არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდს, არამედ 92 წლის შემდგომ პერიოდსაც შეეხება. თუ ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი, ალბათ უნდა აეკრძალოს პოლიტიკაში ყოფნა, მაგრამ თუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას მხოლოდ კონცეპტუალურად და იდეურად უპირისპირდებოდა, ეს დემოკრატიაში დაშვებულია. მთავარია, განსხვავებული მოსაზრება და ოპონირება არ გადავიდეს ადამიანების წინააღმდეგ შეთქმულებაში, იარაღით სირბილში, სამეგრელოს შვიდგზის დალაშვრაში, ადამიანების ფიზიკურ განადგურებაში და ა.შ.

– თუ გაქვთ მოლოდინი, რომ 1991-93 წლებში განვითარებულ მოვლენებს სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცემა და ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებს ნათელი მოეფინება?

– რა თქმა უნდა. ეს აუცილებლად მოხდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

გვჭირდება კი ახალი ელმავალმშენებელი ქარხანა, როცა საქართველოში 60-წლიანი გამოცდილების მქონე „ელმავალმშენებელი“ ფუნქციონირებს?!

გარკვეული ხნის წინ სს თბილისის „ელმავალმშენებლის“ თანამშრომლებისგან წერილი მივიღეთ. „ძვირფასო რედაქცია, მოგეხსენებათ, ელმავალმშენებელი ქარხანა არსებობის ათეულ წლებს ითვლის, უამრავი წინააღმდეგობა გავიარეთ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით უჭირს ქართულ ელმავალწარმოებას. ბაზარზე შემოდის ახალი ჩინური კომპანია, რომელიც აპირებს საქართველოს რკინიგზას თავისი პროდუქცია შესთავაზოს მაშინ, როცა ჩვენ უკეთესის, უფრო გამძლეს გამოშვება შეგვიძლია. ქარხანაში 1000-ზე მეტი კვალიფიცირებული სპეციალისტი და მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული, ხოლო ახალი მოთამაშის შემოყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენს. გთხოვთ შეისწავლოთ ეს საკითხი. იქნებ დაგვეხმაროთ, გადავარჩინოთ ქართული ელმავალმშენებლობაო“, – ნათქვამია წერილში.

სს „ელმავალმშენებელში“ შექმნილი პრობლემების შესასწავლად ელმავალმშენებელ ქარხანას ვეწვიეთ.

პრობლემები იმდენად მწვავე გამოდგა, რომ ჩვენი მომავალი კეთილდღეობისთვის, ქართული ეკონომიკისა და ზოგადად, ამ დარგის განვითარებისთვის აუცილებლობად ჩავთვალეთ საზოგადოებისთვის გაგვეცნო, რა ხდება დღეს ელმავალწარმოების საქმეში.

თავიდანვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენს თვალწინ, ვიღაცების გულგრილობით, ზოგიერთის დაუდევრობით, სხვათა უცოდინარობით, სხვათა და სხვათა მომხვეჭელობითა და მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელების მოტივით საქართველოს „ელმავალმშენებელი“ შეიძლება საერთოდ განადგურდეს.

ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელიც დღეს სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ სახელით ფუნქციონირებს, 1939 წელს დაარსდა. თავიდან ის ორთქლმავლების შემკეთებელ საწარმოდ ჩამოყალიბდა. ამ ქარხნის შეკეთებული ტრანსპორტით ხდებოდა შემდეგ პირველი სარკინიგზო გადაზიდვები.

1957 წელს ქარხანამ პირველი ელმავალი გამოუშვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ელმავალმშენებელი, ძირითადად, სხვადასხვა მოცულობის ელმავლების კაპიტალური შეკეთებით იყო დაკავებული, თუმცა ახალი ელმავლების მშენებლობის საქმეშიც ამ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

ბოლო წლებში ქარხანამ 230 ელმავალზე მეტის რემონტი განახორციელა საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რკინიგზებისთვის.

სს „ელმავალმშენებელი“ ერთადერთი ქარხანაა რეგიონში, რომელსაც შეუძლია კაპიტალურად შეაკეთოს ნებისმიერი მოცულობის ელმავალი, დააპროექტოს და ააგოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალი ელმავლები.

დაარსების დღიდან აქამდე ქარხანას 4500 ერთეულზე მეტი მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავალი აქვს გამოშვებული, რომელიც ექსპლუატაციაშია ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში.

1970 წლიდან 2015 წლამდე საწარმოში წარმოებულია და 14 ქვეყნისთვის მიწოდებულია 430 ერთეულზე მეტი სამრეწველო **ЭК-13, ЭК-14** და **ЭК-15** მარკის კოსმქრობი ელმავლები.

ელმავალმშენებლის მიერ გამოშვებული ახალი მაგისტრალური ელმავლები ექსპლუატაციას გადის უკრაინის რკინიგზაზეც.

თბილისის ელმავალმშენებელმა ქარხანამ ახლახან მუდმივი დენის ასინქრონულ-ამძრავიანი თანამედროვე ელმავლის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შემუშავება დაასრულა და წარუდგინა საზოგადოებას.

ნიკოლოზ მანჯავიძე, გენერალური კონსტრუქტორი: „ამ ელმავლის შექმნის მიზანი იყო ჰქონდეს ელმავალს გაცილებით ნაკლები საექსპლუატაციო ხარჯები და უკეთესი ტექნიკური პარამეტრები. მას შემდეგ, რაც თანამედროვე ტექნოლოგიები შეიქმნა, შესაძლებელი გახდა ასინქრონული ძრავის გაკეთებაც. ამ ძრავს შეუძლია იმუშაოს საიმედოდ დიდი ხნის განმავლობაში.

„ელმავალმშენებლის“ მთავარი პარტნიორი ელმავალმშენებლობაში საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ჩეხური კომპანია „შკოდა-ელექტრიკია“.

გასული 2015 წლის 8 დეკემბერს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებულ, მუდმივი დენის ასინქრონულ-ამძრავიანი 45 ერთეული ელმავლის შეძენის მიზნით, ინტერესთა გამოხატვის პროცედურაში მონაწილეობის სურვილი ხუთმა კომპანიამ: სს „ელმავალმშენებელმა“ რუსულმა კომპანიამ „სინარამ“, „ალსტომმა“ და ორმა ქართულ–ჩინურმა კომპანიამ გამოხატა.

სს „ელმავალმშენებლის“ დირექტორი **დავით გორგოძე** აღნიშნავს, რომ მათი „პროექტი არის ევროპული, რომელშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მსოფლიოს ელმავალმშენებლობის ყველა მიღწევა, სრულიად აკმაყოფილებს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის პროცედურის შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს; საგარანტიო პირობების, სასიცოცხლო ციკლის, უსაფრთხოების და სხვა პარამეტრების ჩათვლით.

თუ რკინიგზის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის პროცედურაში სს „ელმავალმშენებელმა“ გაიმარჯვა, ის „შკოდა-ელექტრიკთან“ ერთად 8-9 თვის განმავლობაში ააგებს ერთ სატესტო ელმავალს, ხოლო დარჩენილი 44 ერთეული ელმავლის დამზადებას აპირებს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, რამდენიმე წლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა გამოხატვის პროცედურას, ბატონი **დავით გორგოძისა** და „ელმავალმშენებლის“ სხვა ხელმძღვანელ პირთა მოსაზრებით, პოლიტიკური შემადგენელიც აქვს, რაც გულისხმობს იმას, რომ ელმავლე-

ბის მშენებლობის 50% საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს, აქ დასაქმდეს მუშახელი და ა. შ. „ელმავალმშენებელი“ მიიჩნევს, რომ ამ საქმეში ქარხნის როლი პრიორიტეტული იქნება.

საქართველოს რკინიგზას ნამდვილად სჭირდება ელმავლები, თუმცა ქვეყნის ბიუჯეტს არ აქვს ისეთი ფუფუნება, ათეული რაოდენობის ელმავალი ერთბაშად შეიძინოს.

თუმცა ოთხ ოქტომბერს თბილისში ელმავალმშენებელი ქარხნის აშენების პერსპექტივით ახალი ქართულ-ჩინური კომპანიის პრეზენტაცია გაიმართა. დაიდო წინასწარი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ქართულ-ჩინური კომპანია საქართველოს რკინიგზას მიჰყიდის 28 ერთეულ ასინქრონულ-ამძრავიან ელმავლებს.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა დაანონსებული კონკურსი რკინიგზაში ჯერ დასრულებული არ არის. ხომ არ ხდის ეს ე.წ. წინაწარი ხელშეკრულება ფიქტიურს კონკურსის შედეგებს?

როგორც ამბობენ, ამ ხელშეკრულების მომხრე და ინიციატორი არის ერთ-ერთი ჩინური კომპანიის პარტნიორი საქართველოში, ვაგონშემკეთებელი ქარხნის მფლობელი, ყოფილი რკინიგზელი **ბადრი ფილოსანი**, მსგავსი პრეტენზიები გააჩნია სხვა ჩინური კომპანიის პარტნიორს, ასევე ბიზნესმენს **ავთანდილ საყვარელიძეს**. ორივე ბიზნესმენს სურვილი აქვს, თურმე, რომ საქართველოში ელმავალმშენებელი ქარხანა დააფუძნოს ჩინელ პარტნიორებთან ერთად, იმ დროს, როცა უკვე არსებობს სს „ელმავალმშენებელი“ და ევროპული დონის პროდუქციასაც უშვებს სხვადასხვა ქვეყნებში.

სამწუხაროდ, თურმე, ამ ბიზნესემენების კერძო ინტერესებს მთავრობის ზოგიერთი წევრი, ნებსით თუ უნებლიეთ, მხარს უჭერს.

საქმე კი, როგორც ამბობენ, იმაშია, რომ, თუ ამ სფეროში ნაკლებად კონკურენტუნარიანი ჩინური კომპანიები საქართველოში ახალ ელმავალმშენებელ ქარხანას შექმნიან. ეს ნიშნავს, რომ ფუნქცია დაეკარგება ქართულ ელმავალმშენებლობას, როგორც დარგს და ჩვენს ქარხანაში დამზადებული, წლების განამვლობაში გამოცდილებითა და პროფესიული ცოდნით შექმნილი გამძლე და თანამედროვე ტიპის ელმავლები აღარ იქნება რეალიზაციაში საქართველოს რკინიგზაზე, მაშინ, როცა ქართული ელმავლები, სპეციალისტების მტკიცებით, ევროპული ხარისხით გამოირჩევა.

სამწუხაროა, რომ ამ მცდარი ნაბიჯით, მოგებას ელიან ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც საეჭვო მიზნებით უკავშირდებიან თურმე ჩინურ კომპანიებს, რითაც მავნებლურად უშლიან ხელს 60-წლოვანი ქართული ელმავალმშენებლობის არსებობას და განვითარებასა.

ვის და რატომ სურს ქართული ელმავალმშენებლობის განადგურება მაშინ, როცა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკა გარკვეულწილად, სწორედ ასეთ დარგებზეა დაფუძნებული?!

ბაზრის კონკურენცია კარგია, მაგრამ ეროვნული, ადგილობრივი წარმოება ისე უნდა განავითარო, მან, პირველ რიგში, კონკურენცია შეძლოს. თუ რომელიმე პარტნიორი კომპანია ადგილობრივი წარმოების გაფართოებასა და განვითარებაში თანხას აბანდებს, მისასალმებელია, მაგრამ, როცა უცხოურ კომპანიებსა და ფირმებს ჩვენი წარმოების განადგურების ხარჯზე საკუთარის დაფუძნება უნდა და ამაში მას ვიღაცები ხელსაც უწყობენ, მეტი რომ არ ვთქვათ, მავნებლური და არაკეთილსინდისიერი საქციელია.

როდესაც სს „ელმავალმშენებელში“ არსებობს ადგილობრივი საკონსტრუქტორო ბიურო, ქარხნის კოლექტივი, ათწლეულების გამოცდილებით, რამდენად სწორია ისეთი კონკურენტის შემოყვანა, რომელიც ყოველივე ზემოთქმულის უგულებელყოფით, თავისი წესებითა და სტრატეგიით დაიწყებს მოქმედებას?

ჩვენ, მოქალაქეებს, საზოგადოებას, არაფერი გვაქვს უცხოური ინვესტიციების საწინააღმდეგო, მეტიც, მოხარულნი ვართ, ახალი პარტნიორების შეძენით, მაგრამ რამდენადაც ვიცით და ამას საქმეში ჩახედული პირებიც ადასტურებენ, ჩინელ ინვესტორებს, სხვა ქვეყნებში დამკვიდრებისას, საკუთარი ტექნოლოგიები შემოაქვთ, არ იზიარებენ ძველ გამოცდილებებს, სამუშაოებზე ასაქმებენ თავიანთ კადრებს. ჩვენ კი რას ვუპირებთ, ამ შემთხვევაში, ქართულ ელმავალმშენებლობას? ამ დარგის მეცნიერ-მუშაკებს, რომლებსაც სწორედ ელმავალმშენებლობის საქმეში აქვთ ხარისხები დაცული? კვლავ გავიმეოროთ 90-იანი წლების შეცდომა და დანაშაული და „ელმავალმშენებლის“ უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯართში ჩავაბაროთ, ჩვენ გულზე ხელი დავიკრიფოთ და სხვას ვუყუროთ, როგორ ამუშავებს წარმოებას საქართველოში?

ბოლოს და ბოლოს, რა საჭიროა სამი ელმავალმშენებელი ქარხანა, როცა უდიდესი გამოცდილების სს „ელმავალმშენებელს“ მინიმალური ხელშეწყობის პირობებში ქვეყნის ბიუჯეტისთვის უდიდესი მოგების მოტანა შეუძლია?!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვახტანგ ხარჩილავა:

ვინც არ უნდა ჩადგეს ჩვენს შორის, ჩვენ, აფხაზები და ქართველები, მაინც გავგრძელდებით ერთმანეთში, რადგან ერთმანეთისგან ვიწყებით

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი აფხაზი ძმებისთვის შეთავაზება მინდოდა გამეკეთებინა, საქმიანი წინადადება, ხაზს იქითაც ვთავაზობ ასეთივე კლასის სასტუმროს აშენებას. გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც“

„დღეს განმუხურში გაიხსნება მშენებლობა. იქ თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით უნიკალური სასტუმრო აშენდება. გამყოფ ხაზთან მიჯრით, ყველაზე ახლოს და სასტუმროს უკან აშენდება ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ფონდი „ქართუ“ დაუფინანსებს. ბოტანიკური ბაღის იდეა იყო ჩემი, უნიკალური ადგილია თავისი კლიმატით. თვალში გვხვდება, რომ უკანა ზოლი არ არის საკმაოდ გამწვანებული. ზუსტად გამყოფ ხაზთან ააშენებს თანაინვესტირების ფონდი სასტუმროს, წინ ზღვა და სასტუმროს უკან ბოტანიკური ბაღი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი აფხაზი ძმებისთვის შეთავაზება მინდოდა გამეკეთებინა, საქმიანი წინადადება, ხაზს იქითაც ვთავაზობ ასეთივე კლასის სასტუმროს აშენებას. გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც. ამავდროულად, სასტუმროდან ყველა მოგება ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მოხმარდებოდა. ამით წვლილი მინდოდა შემეტანა ჩვენი ურთიერთობების აღდგენაში. უნდა დავიბრუნოთ ის ნდობა, რაც საუკუნეების განმავლობაში გაგვაჩნდა.

იყო მცდელობა, ხმა მიგვეწვდინა. რეაქცია როგორი იყო, არ ვარ საქმის კურსში. ვფიქრობ, ვერ მოხდა ამ საკითხის შეჯერება. წინადადება იმდენად ჰუმანურია, არ მგონია, პოზიტიურის გარდა, სხვა რეაქცია მოჰყვეს“. — აი, ასეთი განცხადება გააკეთა აფხაზების მისამართით 2016 წლის 26 სექტემბერს ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა**.

ქართველთა და აფხაზთა შორის ხიდჩატეხილობის და უბრობის თითქმის ოცდახუთწლიან ისტორიაში ქართველთა მხრიდან ეს არის ერთადერთი შეთავაზება აფხაზებისადმი, რომლის სანაცვლოდაც არავის არაფერი მოუთხოვია და არანაირი წინაპირობა არ წამოუყენებია, თუ არ ჩავთვლით იმ უკეთილშობილეს სურვილს, რომ დავიბრუნოთ ის ნდობა და სიყვარული, რაც აფხაზებს და ქართველებს საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას არ აქვს პოლიტიკური შინაარსი, არ აქვს დიპლომატიური ქვეტექსტი, ეს არის ერთი კეთილშობილი ქართველი კაცის ძალიან გულწრფელი და ალალი მოწოდება შერიგებისკენ, დამდურებული და გაბუტული ძმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რაინდული, ღრმად ადამიანური და თანაგრძნობით განმსჭვალული საქციელი.

იმდენად ჰუმანურია ჩემი წინადადება, რომ არა მგონია, პოზიტიურის გარდა სხვა რეაქცია მოჰყვესო, — იმედოვნებდა ბიძინა ივანიშვილი, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, ივანიშვილის ეს წინადადება აფხაზთა მხრიდან მაინც პოლიტიკურ ხრიკად შეფასდა.

„ივანიშვილმა დაივიწყა, რომ ჩვენი ქვეყნები ჯერ კიდევ საომარ მდგომარეობაში არიან“, — განაცხადა ერთმა აფხაზმა ჩინოვნიკმა ივანიშვილის შეთავაზებასთან დაკავშირებით.

არა, ივანიშვილს არაფერი არ დავიწყნია, სწორედ ამ საომარი მდგომარეობიდან ნორმალურ, მშვიდობიან, ადამიანურ ურთიერთობებზე გადასვლის მიზნით გააკეთა მან ის მართლაც უნიკალური შეთავაზება.

ივანიშვილის შეთავაზება თუ დიალოგის, აზრთა გაზიარების, ურთიერთობათა დათბობის მოსამზადებელ სვლად ეჩვენება ვინმეს და სწორედ ამიტომ ტეხს განგაშს, კი, მაგრამ, რა არის ამაში საგანგაშო და მიუღებელი?

განა თვით აფხაზთა ეროვნულ ინტერესებში არ შედის საქართველოსთან დიალოგის დაწყება და ამ არანორმალური, ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის ძებნის მცდელობა.

— რა დროს ამგვარი ბიზნესინიციატივებია, როცა საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდია ბოდიში 1992-93 წლების ომის დაწყებისთვის, 2001 წლის ოქტომბრის და 2008 წლის მოვლენებისთვის, და, რაც მთავარია, არ უღიარებია აფხაზეთის დამოუკიდებლობა, — ასეთი რეპლიკაც გაისმა აფხაზთა მხრიდან ივანიშვილის შეთავაზების საპასუხოდ.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და, მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილს, არც 1992-93 წლების ომის დაწყებასთან, არც 2001-2008 წლების მოვლენებთან არანაირი კავშირი არ აქვს და, აქედან გამომდინარე, ქართველებსა და აფხაზებს შორის გახსნილი, გულწრფელი საუბრისთვის დღეს უდავოდ ხელსაყრელი გარემოა, რითაც, ქართველებთან ერთად, აფხაზებმაც უნდა ისარგებლონ, რომ ყინული როგორმე დაიძრას.

ერთმანეთს შორის ომი და ერთმანეთის განადგურება კი არა, ქართველთა და აფხაზთა უპირველესი მოვალეობა ერთმანეთის დაცვა და ერთმანეთის გადარჩენაა.

სწორედ ერთმანეთის გადარჩენისკენ და ერთმანეთის დაცვისკენ არის მიმართული ბიძინა ივანიშვილის ეს ისტორიული შეთავაზება, რომლის მნიშვნელობასაც ხვალ და ზეგ აუცილებლად მიხვდებიან აფხაზები, ოღონდ ის აფხაზები,



რომლებსაც გულწრფელად უყვართ აფხაზეთი და არა ისინი, რომლებსაც ომისა და კონფრონტაციის ცეცხლზე ხელის მოთბობა სურთ და საკუთარი, პირადი ინტერესები ამოძრავებთ.

რაც შეეხება ომის დაწყებას აფხაზების წინააღმდეგ, ეს ომი არ დაუწყია საქართველოს, ის დაიწყო შევარდნაძემ და დაიწყო არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს წინააღმდეგ.

აფხაზეთის ომი საქართველოს დასაპყრობად დაწყებული ამ დიდი ომის ერთ-ერთი ტრაგიკული ფრაგმენტია.

ის, რაც ახლა ვთქვი, ჯერ არავის უთქვამს და არავის შეუხედავს ამ კუთხით გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებისთვის, თუმცა, რასაც ვამბობ, ეს რომ სიმართლეა, ამის დასამტკიცებლად იმ ფაქტების გახსენებაღაა საჭირო, რომლებიც ჩვენს თვალწინ, მათ შორის, აფხაზების თვალწინ მოხდა.

ჯერ თბილისი დაიპყრო შევარდნაძემ და კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება საქართველოდან გააქცია, მერე თავისი „განმათავისუფლებელი არმიით“ და ბანდფორმირებებით სამეგრელოს გადაუარა ხუთგზის, ცოტა მოგვიანებით კი აფხაზეთის დასაპყრობად გაეშურა, რაც იმით დამთავრდა, რომ შევარდნაძემ სამასი ათასი ქართველი გამოილალა ცხვრის ფარასავით და ისე დაბრუნდა უკან.

შევარდნაძის ბანდები ზუსტად ისე ექცეოდნენ სამეგრელოს მოსახლეობას ანუ „თავისიანებს“, როგორც მოგვიანებით აფხაზებს და აფხაზეთის მოსახლეობას — ძარცვავდნენ, კლავდნენ, წვავდნენ, აუპატიურებდნენ.

ბანდიტს არ აქვს ეროვნება, ბანდიტი ყველგან ბანდიტია და ყველგან, სოხუმშიც, თბილისშიც, სამეგრელოშიც, აფხაზეთშიც ერთნაირად იქცევა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, შევარდნაძემ, სანამ აფხაზეთს შეუტევდა „ფესრიგის დასამყარებლად“, ჯერ ჩვენ, ქართველები და საქართველო დაგვიპყრო და იმდენი უბედურება დაგვატეხა თავს, ამ უბედურებებისგან ბოლომდე თავის დაღწევას დღემდე ვერ ვახერხებთ.

ასე რომ, როცა აფხაზები ბოდიშის მოხდას ითხოვენ საქართველოსგან 1992-93 წლების ომის დაწყების გამო, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოება, რომ, როგორც ვთქვით, თვითონ საქართველო იყო იმ წლებში გარედან მართული პოლიტიკური ავანტურისტების აგრესიის მსხვერპლი.

თუ ბოდიშის მოხდაზე მიდგა საქმე, საქართველოს ვინ მოუხდის ბოდიშს 300 000 დევნილის გამო, ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქის გამო და, საერთოდ, ყველა იმ შემზარავი და შემაძრწუნებელი ტრაგედიის გამო, რაც ქართველებს დაატყდათ თავს აფხაზეთში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქართველები იყვნენ?

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება დიამეტრალურად განსხვავდება შევარდნაძის და საკაშვილის ხელისუფლებებისგან, განსხვავდება თავისი ლოიალურობით, ჰუმანურობით, დემოკრატიული პრინციპების პატივისცემით, კაცთმოყვარეობით.

გამომდინარე აქედან, სწორედ დღეს არის იმის შანსი, რომ აფხაზებს და ქართველებს შორის ბოლოს და ბოლოს დაიწყოს გულახდილი, გულწრფელი, ურთიერთმიტევებაზე დაფუძნებული საუბარი.

ასე რომ, ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან და ბატონი ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებასაც ცოტა სხვა თვალით და სხვა კუთხით შეხედეთ.

სხვათა შორის, ივანიშვილის შეთავაზებაში არის ერთი საოცარი შტრიხი, რომელმაც არ შეიძლება სასიამოვნოდ არ აგაღელვოთ და გულგრილი დაგტოვოთ.

როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე, განმუხურში მშენებარე უნიკალური სასტუმროს ტყუპისცალი სასტუმროს აშენებაზე საუბრობს, ივანიშვილი იქვე ამატებს: „გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც“.

როგორი სიმბოლური იდეაა ეს, თუ გამგები გაიგებს...

ქართველები და აფხაზები, ჩვენ ერთმანეთის გაგრძელებები ვართ და ვინც არ უნდა ჩაერიოს, ვინც არ უნდა ჩადგეს ჩვენს შორის, ამ საერთო ბედისწერას ვერავინ შეცვლის და ვერავინ შეაჩერებს — ჩვენ მაინც გავგრძელდებით ერთმანეთში, რადგან ერთმანეთისგან ვიწყებით.

* * *

მცირე ფრაგმენტი მინდა შემოგთავაზოთ ერთი ჩემი ძველი წერილიდან:

„ — „აფხაზაცალო წირილი კოჩი რე“, ანუ „აფხაზივით დახვეწილი (დაწურული, რაფინირებული) კაციაო“, — იტყოდნენ ხოლმე მეგრელები, როცა ვიღაცის შექება და მისი შინაგანი დახვეწილობის, ზრდილობისა და წესიერებისთვის უნდოდათ ხაზის გასმა.

აფხაზი კაცი მეგრელისთვის წესიერების, ვაჟკაცობისა და ინტელიგენტურობის განსახიერება იყო.

ასეთი თვალით შეხედვა და ამგვარი შეფასება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც უყვარხარ, ხოლო სადაც სიყვარულია, იქ ურთიერთპატივისცემა, ურთიერთკრძალვა, ურთიერთრიდიც არის.

აფხაზისა და მეგრელის ურთიერთობა ეს ცალკე ფენომენია, უნიკალური მოვლენაა, რომელსაც ანალოგი თითქმის არ აქვს.

მეგრელსა და აფხაზს არასოდეს უცდიათ, ერთმანეთისთვის შეეზღუდათ თავისუფლება, რადგან ერთმაც და მეორემაც შესანიშნავად იცოდა, რომ თავისუფლება თანაარსებობის ხელოვნებაა.

უბრალო ადამიანებმა, მწყემსებმა, გლეხებმა, მეჯოგეებმა, უბრალო აფხაზებმა და მეგრელებმა მოიფიქრეს და შეძლეს დაეფუძნებინათ მორდუობის ინსტიტუტი, როცა აფხაზი მეგრელს აბარებდა შვილს გასაზრდელად და პირიქით — მეგრელი აფხაზს აზრდევინებდა ძესა თუ ასულს.

უფრო გონივრული, შორსმჭვრეტელური, დიდებული და დიადი რამ არ შეუქმნიათ და არ მოუფიქრებიათ ერთად შეკრებილ გაეროს და ეუთოს, თავისი მრავალრიცხოვანი ინსტიტუტებით, მეცნიერებით, ფსიქოლოგებით, კონფლიქტოლოგებით, პოლიტიკოსებით...

აფხაზის სახლში გაზრდილი მეგრელი და, პირიქით, მეგრელის სახლში გაზრდილი აფხაზი, ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ერთმანეთის ზნეს და ხასიათს და მერე, როცა საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ, თან მიჰქონდათ ბავშვობაში შესისხლხორცებული ერთმანეთის კულტურა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული.

როგორ გავაგებინო ან გაიგებს კი ყოველივე ამას ბუტროს ბუტროს გალი, კოფი ანანი ან მუნი, ან სულაც ჩვენს გამშველებლად მოსული ცისფერჩაფხუტიანი რუსი?

ომი ომია, ომში ადამიანები იღუპებიან და ეს უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ ქართულ-აფხაზურ ომში კიდევ მოხდა სხვა ტრაგედია, ადამიანთა მსხვერპლზე არანაკლებ მძიმე და შემზარავი ტრაგედია — საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ღირებულებების, ამ ღირებულებათა სისტემის ნგრევა, ეთნოფსიქიკის დეგრადაცია.

ცოტათი ჭკუიდან ხომ არ გადავდექით ჩვენ — აქედანაც და იქიდანაც — თორემ, როდის იყო, ნათესავი ნათესავს იმეტებდა, მეზობელი — მეზობელს, ბიძაშვილი — ბიძაშვილს, მოგვარე — მოგვარეს,

ჩვენ, ამ საქმის ჩამდენნი, იმქვეყნად მამა-პაპათ რომ მოვუვალთ, როგორ ვუთხრათ ჩვენს წინაპრებს, რაც დაგვემართა, როგორ ავუხსნათ და რით ვიმართლოთ თავი?

ჩვენს მორდუებს რცხვენიათ- მეთქი, ჩვენს ნაცვლად საფლავში და მხოლოდ ლამაზი სიტყვებისთვის არ მითქვამს ეს...

— ხშირი იყო იყო შემთხვევები, როცა აფხაზები გვიფარავდნენ, გვმალავდნენ, გვპატრონობდნენ, — გამიგონია დევნილთაგან.

მე არ ვარ აფხაზეთიდან, ამ მოვლენების უშუალო მომსწრე არ გახლავართ, ამიტომაც არ ვიცი, მართლა ასე იყო სინამდვილეში თუ ეს დევნილი ქართველი იგონებს რაღაცას და თავის ძმას, აფხაზს, სიძულვილისთვის ვერ იმეტებს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად უდიდესი ტკივილისა და წყენისა.

გასაოცარი ამბავია — ამ დევნილ ქართველს მაინც აფხაზი ენატრება...

თქვენ, ძმებო აფხაზებო, თქვენ არ გენატრებათ ესენი — თქვენი ნათესავები, მეზობლები, მეგობრები?

* * *

არ დაიჯეროთ თქვენ, აფხაზებო, რომ ჩვენ, ქართველები, ევროპელები ვართ! ჩვენც ისეთივე კავკასიელები ვართ, როგორც თქვენ — „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი“, — ხომ გახსოვთ ეს ლექსი?

მართალია, ბოლო ორი სტრიქონი მთლად ზუსტად არ გამოხატავს ქართველთა ერთი ნაწილის სადღეისო სულისკვეთებას და ზოგს აქ სიკვდილს სხვაგან სიცოცხლე ურჩევნია, მაგრამ პირველი ორი სტრიქონი წყალგაუვალი სიმართლეა — კავკასიის მთების შვილები ვართ. ჩვენც კავკასიელები ვართ; კავკასიელებმა კი მტრობა იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ შერიგებაც!

დგებოდა ჟამი, როდესაც თვითგადარჩენის ინსტინქტი დაპირისპირებულ მხარეებს სხვა ალტერნატივას არ უტოვენდა, გარდა ერთისა — შერიგება და მშვიდობის ჩამოგდება, რადგან ომის გაგრძელება როგორც ერთი, ისე მეორე მხარის განადგურებას ნიშნავდა.

შერიგება რომ არ გვცოდნოდა, სოფელი სოფელს ამოწყვეტდა, გვარი — გვარს, ტომი — ტომს.

პირველი და მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ ხუთ წელი-

14 ᲒᲐ.

ვინც არ უნდა ჩადგეს ჩვენს შორის, ჩვენ, აფხაზები და ქართველები, მაინც გავგრძელდებით ერთმანეთში, რადგან ერთმანეთისგან ვიწყებით

13 გვ.

წადს გრძელდებოდა, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება ოც წელზე მეტია ვერ დავამთავრეთ.

ისეთი რა ომია ეს, რომ წერტილი ვერა და ვერ დავუსვით?

იქნებ სულაც არ არის ეს ჩვენი ომი და იმიტომაც ვერ ვახერხებთ მის დამთავრებას? ამდენი ხნის გამავლობაში გონიერება თუ არა, თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც რატომ არ იღვიძებს ჩვენში?

აბა, კარგად დავფიქრდეთ — ვინც საქმე ისე მოაწყო, რომ სამასი ათასი კაცი იძულებული გახადა აფხაზეთი დაეტოვებინა, განა შურისძიებისთვის გამზადებული სამასათასკაციანი ლაშქარი არ დაუპირისპირა აფხაზებს, რითაც მოსალოდნელი დარტყმის მუდმივი საფრთხის ქვეშ დააყენა ისინი, ეს კი იმიტომაც გააკეთა, რომ მცირერიცხოვან აფხაზთათვის უსაფრთხოების გარანტად, მცველად თუ ფარად საკუთარი თავი შეეთავაზებინა.

დღეს, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთში აფხაზებს რიცხობრივად სომხები სჭარბობენ.

ემანდ, ფრთხილად იყავით — სუვერენული და დამოუკიდებელი აფხაზეთის ნაცვლად სუვერენული და დამოუკიდებელი მინისომხეთი არ შეგრჩეთ ხელთ, რომლისთვისაც სახელწოდება აფხაზეთი ფსევდონიმი იქნება მხოლოდ.

როგორც ჩანს, მავანთ აფხაზეთში ქართველთა ყოფნა უშლიდათ ხელს და უოკებდათ მადას, თორემ, როგორც კი აფხაზები დაიმარტოხელეს, ბევრმა მყისვე გამოაჩინა თავისი თავი და ხვაშიადიც გაამჟღავნა: — აფხაზეთი აფხაზებისთვის კი არა, თავისთვის უნდოდათ, აფხაზებისთვის კი არა, თავისი თავისთვის ომობდნენ“.

* * *

...ამ წერილის წერისას სულ თვალწინ მედგა ერთი კაცი, რომელზეც ჯერ არაფერი მითქვამს.

ეს არის ალექსეი თარია, აფხაზი მწერალი და პუბლიცისტი, აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭეშმარიტი აფხაზი.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ზარ-ზეიმით და ტაშ-ფანდურით აღნიშნა.

ვიღაც-ვიღაცები, ცხენებზე ამხედრებულნი, სოხუმის ქუჩებში დაჰქროდნენ და გამარჯვების ყიჟინას სცემდნენ.

უყურა, უყურა ალექსი თარიამ ამ შემაძრწუნებელ თარჩიას, მერე აიღო ბარი, იქვე, თავისი სახლის მახლობლად, სერზე საფლავი გათხარა და შიგ ჩაწვა — ჭკუიდან გადასულან აფხაზები და ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვსო.

ვინ არ მიუგზავნეს ალექსი თარიას, რა არ უთხრეს, რას არ შეჰპირდნენ, მაგრამ საფლავიდან ვერაფრით ამოიტყუეს — აფხაზეთი მოკვდა და მეც უნდა მოვკვდეო, ამბობდა და ახლოს არავის იკარებდა.

რომ ვერაფერს გახდნენ, თარიას საფლავს ფიცრებით შეკრული ღობე შემოავლეს, რომ საკუთარი ნებით ცოცხლად დამარხული კაცი უცხო თვალისთვის მოერიდებინათ.

სამი კვირა და ორი დღე იწვა სამარეში ალექსი თარია და მხოლოდ 2 მაისს, უკვე გონდაკარგული და სულთმობრძავი, როგორც იქნა, „ამოასვენეს“ საფლავიდან.

ალექსი თარია სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ თანამემამულეთა რისხვას — ვერა!

ის იძულებული გახადეს, აფხაზეთი დაეტოვებინა და მას შემდეგ ალექსი თარია აფხაზეთში ვერ ბრუნდება, ხოლო 9 აპრილს ამოთხრილი მისი საფლავი დღემდე ღია ჭრილობასავით ამჩნევია აფხაზეთის მიწას...

2016 წელი, 29 ოქტომბერი

სომხები აფხაზეთის „არმეინიზაციას“ ცდილობენ

სომხურმა ნაციონალისტურმა ორგანიზაცია „კრუნკმა“ მსოფლიოს აუწყა ძირძველ ქართულ მიწაზე - აფხაზეთში „სომხურ ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ შექმნა. ამაზე ცნობას იძლევა გაზეთი „Кавказъ плюс“-ი.

„კრუნკმა“ სპეციალური განცხადებაც სახელდახელოდ გამოაცხო, რომლის ყველაზე საინტერესო ამონარიდებს გაგაცნობთ. ამ „ისტორიული დოკუმენტის“ ავტორები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის მრავალეროვნული: **„ჩვენ, სომხები, ამ ქვეყნის ძირძველი მოსახლეობა ვართ, უძველესი დროიდან სომხები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოს განვითარებაში...** აფხაზეთის სომხები, მოძმე აფხაზ ხალხთან ერთად, იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, იბრძოდნენ არაბული და თურქული ბატონობის წინააღმდეგ, **აფხაზებთან ერთად აფართოვებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოს საზღვრებს სურამის ქედამდე.** რუსეთის იმპერიის და საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი უფლებები ილახებოდა, არ გვაძლევდნენ კულტურული განვითარების საშუალებას, კრძალავდნენ სომხურ სკოლებს, არ გვაძლევდნენ საშუალებას სულიერ განვითარებისთვის, რის გამოც არ გვქონდა საშუალება, სომხური ეკლესია აგვეშენებია... **სომხური მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ქართული ფაშიზმის წინააღმდეგ, ათასი სომეხი აფხაზეთის გმირი გახდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ისინი აფხაზური ფაშიზმის წინაშე აღმოჩნდნენ...** მრავალტანჯული და შრომისმოყვარე სომხური მოსახლეობა კვლავ იჩაგრება აფხაზეთის ხელისუფლების მიერ. ქვეყნის ხელისუფლება მიზანმიმართულად ამცირებს სომხური მოსახლეობის რაოდენობას რესპუბლიკაში, არ გვაძლევს საშუალებას ეკლესიების აშენებისა, არ მიესალმება სომხური სკოლების, თეატრების და კულტურული ცენტრების გახსნას... ამის გამო, ხელახლად შექმნილი ორგანიზაცია „კრუნკი“ და აფხაზეთის სომხური ინტელიგენცია აცხადებს: **აფხაზეთის ძირძველ სომხურ მოსახლეობას აქვს ყველა სამართლებრივი საფუძველი სომხური ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესაქმნელად აფხაზეთის რესპუბლიკაში“.**

ეურადსაღებია, რომ სომხები თავისი ე.წ. ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შექმნას აპირებენ გულრიპშის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიაზე: **„უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონებში ქართული მოსახლეობის განდევნის შემდეგ, სომხური მოსახლეობა დამაჯერებელ უმრავლესობას შეადგენს.** სომხური ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიის შექმნის კანონპროექტი გადაეცემა სომეხ დეპუტატებს - **ლ.ჰალუსტიანს** და **რ. იაიმიანს,** რათა ის განხილულ იქნას აფხაზეთის პარლამენტში. **ჩვენ, „კრუნკის“ წევრები, ვიმედოვნებთ, რომ მოძმე აფხაზი ხალხი გაგებით შეხვდება მრავალტანჯული სომეხი ხალხის მოთხოვნებს და მოგვანიჭებს ჩვენ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას აღნიშნულ რაიონებში. ეს იქნება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საწინდარი. ეს აქტი უფრო გააძლიერებს ჩვენი უძველესი და მოძმე ერების მეგობრობას“.**

ერთი სიტყვით, აფხაზეთი უდიდესი საშიშროების წინაშე დგას.

გიორგი კორძაძე
(ნაწყვეტი წერილიდან „სგ“ N25-1)

ელზა ჯმუხაძე:

შალვა ნათელაშვილმა ან გიჟის ცნობა წარმოადგინოს, ან ციხეში მოუწევს ჩაჯდომა!

რაც უფრო მეტს იხვანხვალებს შალიკო და მეტ სისულელეს დაარეხვებს, უფრო ღრმად ჩაეფლობა პოლიტიკურ სამარეში – ამას მე ვპირდები!

საპარლამენტო არჩევნებში განცდილი მარცხი ბარიერს მიღმა დარჩენილ პარტიებსა და მათ ლიდერებზე სხვადასხვანაირად აისახა: ზოგმა პარტიიდან წასვლა არჩია, ზოგმა - ქვეყნიდან; „მთავარი ლეიბორისტი“ კი ყოფილი თანაგუნდელების „მხილების“ ხასიათზე დადგა: შალვა ნათელაშვილმა „რუსთავი 2“ პირდაპირ ეთერში სოსო შატბერაშვილს ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ხოლო კახა ძაგანიას არც მეტი და არც ნაკლები, მკვლელობაში დასდო ბრალი.

„საერთო გაზეთის“ სტუმარია **„მემარცხენე ალიანსის“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელზა ჯმუხაძე:**

— შალვა ნათელაშვილი დიდი ხანია გასცდა პოლიტიკის საზღვრებს, ამიტომ დროა, დაისვას ბუნებრივი კითხვა – ეს კაცი გიჟია, თუ მიზანმიმართული დამნაშავე. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ორი მიმართულებით ვაპირებთ რეაგირებას:უკვე ვმუშაობ საჩივარზე ჩვენი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების გამო, რადგან სამოქალაქო კოდექსისმე-18 მუხლის თანახმად, ამის სრული საფუძველი გვაქვს. შალვა ნათელაშვილს სასამართლოს წინაშე მოუწევს ამტკიცოს არარსებული ფაქტები, შესაბამისად - პერსპექტივა, რომ ეს სამოქალაქო დავა წავაგოთ, არ არსებობს.ეს ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, „ბაზალეთის ბატონ“ შალვას უნდა თუ არა ეს, კანონი და სასამართლოს გადაწყვეტილება დაავალდებულებს, იგივე ფორმით, ანუ - ტელეეთერით გამობრძანდეს და საკუთარი ნათქვამი სიცრუე საჯაროდ თავადვე უარყოს. რაც შეეხება სისხლის სამართლის მიმართულებას, როდესაც პირს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეზე მოწმის სახით კითხავენ, მას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის თაობაზე აფრთხილებენ და ეუბნებიან, რომ ცრუ ინფორმაციის მოწოდებისთვის, რასაც სისხლის სამართლის ენაზე ცრუ დასმენა ქვია, კანონის წინაშე მოუწევს პასუხისგება. ცილისწამებასთან დაკავშირებითსისხლის სამართლის მუხლი გაუქმდა, მაგრამ ახლა სსკ-ში არის 373-ე მუხლი ცრუ დასმენის შესახებ და მოსალოდნელი სასჯელიც საკმაოდ მკაცრია. მოკლედ, ცრუ დასმენას დაარქმევთ თუ ცილისწამებას, არსებითად და შედეგის თვალსაზრისით, არაფერს ცვლის.როცა ტელეეთერით გამოდიხარ და საჯაროდ, მტკიცებით ფორმაში ამბობ, შატბერაშვილი ნარკომოვაჭრეა, მორფის აფთიაქი ჰქონდა და ახალგაზრდებს წამლავდა, კახა ძაგანია კი ნარკომანი და მკვლელია, რომელსაც ჩუღურეთში ლაშა სანიკიძე ჰყავს მოკლულიო, ამ დროს კი კარგად იცი, რომ ეს არის სიცრუე და ამდენად, ამის დასაბუთება შეუძლებელია, ხარ ჩვეულებრივი დამნაშავე!

- და ეს რატომ არ იცის შალვა ნათელაშვილმა?

- კანონის უცოდინარობა ადამიანს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს, ამიტომ შალვას ვერ უშველის ახლა თავის გამოშტერება, არ ვიცოდი, დანაშაულს თუ ჩავდიოდიო; ჩემი აზრით, ამ კაცის უბედურება სწორედ ის არის, რომ მშვენივრად იცის, დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება დანაშაულია, მაგრამ შეპყრობილია დაუსჯელობის სინდრომით, რადგან ფაქტია - მისთვის დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია. ამიტომაცაა, რომ ყველას მიმართ ისეთ მძიმე ბრალდებებს აფრქვევს, კიდევ კარგი, თავის დროზე, მაგას არავინ მოუსმინა და სიკვდილით დასჯა გააუქმეს, თორემ დღეს შალვას ცრუ ბრალდებების საფუძველზე, ალბათ ნახევარი საქართველო დახვრეტილი იქნებოდა!

— თუ არ ვცდები, ლაშა სანიკიძის მკვლელობა 1994 წელს, ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის მომხდარ დაპირისპირებას მოჰყვა. კახა ძაგანიას ამ საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდა?

— არავითარი! როგორც თქვენ და მე, კახა ძაგანიამაც ასე იცის და გაგონილი აქვს, რომ ვინმე ლაშა სანიკიძე ნამდვილად მოკლეს ჩუღურეთში, მაგრამ კახა ძაგანია ამ საქმეში მოწმის სტატუსითაც კი არ დაკითხულა, ანუ ამ ადამიანს არანაირი შეხება არ ჰქონია ამ საქმესთან გარდა იმისა, რომ მკვლელობა მოხდა ჩუღურეთში და კახა ძაგანიაც ჩუღურეთელია. ერთი წამით დავუშვათ, რომ ყველაფერი რასაც შატბერაშვილსა და ძაგანიაზე თქვა, მართალია. გამოდის, რომ შალვას შეუძლია, მთელ ქვეყანას მოუწოდოს, ხმა მოგვეცით და ქვეყანა მანდეთო, როდესაც პარტიის ტოპ-ათეულში ჰყავს და პარლამენტშიც შეჰყავს „ნარკობარიგები“ ნარკომანები და მკვლელები?ახლა იტყვის ხაფანგში მომწყვდეული შალვა, ეს ამბები მას შემდეგ გავიგე, რაც შატბერაშვილი და ძაგანია ჩემი პარტიიდან წავიდნენო, მაგრამ აქაც თავისივე სიცრუის აბლაბუდაში აღმოჩნდება – როგორ უნდა ანდოს ხალხმა თავისი ბედი ადამიანს, რომელსაც ვერ გაუგია, პარტია კრიმინალებით აქვს თუ არა სავსე? დიდი ანალიზი არ სჭირდება იმის დადგენას, რომ ნათელაშვილი სწორედაც პოლიტიკური კიკუსა და კიკას ნაჯვარი ჰიბრიდული ჯიშია, რომელსაც თუმნიანის დანახვაზე გონება ებინდება და ყველაზე უკეთ სიგიჟეები გამოსდის! ამ კაცის უტიფარ საქციელს პოლიტიკური შეფასება უკვე მიცემული აქვს და ახლა დროა, სამართლებრივი შეფასებაც მიეცეს. ამის შემდეგ კი, როცა სასჯელსაც მოიხდის, თუ ისევ სიგიჟის ხასიათზე დარჩება, მამული და სასახლე დიდი აქვს და ასპარეზად ის იმყოფინოს!

— ყველას გვახსოვს, რომ თავის დროზე, ნათელაშვილი მსგავს ბრალდებებს არც საკაშვილის მისამართით იშურებდა. შემდეგ რა შეიცვალა?

— სავარაუდოდ, საკაშვილს, რომელიც ქვეყანას დიქტატურაში ჩაღრჩობას უპირებდა და ფსევდოოპოზიცია პოლიტიკური ანტურაჟის გასამრავალფეროვნებლად სჭირდებოდა, დაუძახა ჭკუა-გონებით თავის ტოლსა და სწორს შალიკოს და უთხრა - აჰა, შენ ფულები „კიკუ“-ო, იგიჟე რამდენიც გინდა, მაგრამ მე და ჩემს ბიჭებს დაგვითმე თბილისის საკრებულის მოგებული არჩევნები და მერეც თავი დაგვანებეო! სწორედ ამაში რომ გამოიჭირეს, ამიტომ მაშინვე წამოვიდა ლეიბორისტული პარტიიდან მთელი ბირთვი და ჯანსაღი ნაწილი; სწორედ ამიტომ ახსენებენ მუდმივად „მემარცხენეები“ შალვას ბაზალეთში აგებულ სასახლეს და არა იმიტომ, რომ შალვასი რაიმე შურთ. სანამ პარტიიდან წამოვიდოდნენ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ახლა ათას უბედურებას აბრალებს, კატეგორიულად დაუსვეს საკითხი —ხალხის ნდობა და ხმები საკაშვილს მიყიდე და ამიტომ პარტიის თავმჯდომარეობიდან უნდა გადადგეო. როგორც ხაფანგში გაბმული ტურა და მელა, შალვა თავიდან დაეთანხმა, ყრილობას მოვიწვევ და გადავდგებიო, მაგრამ მერე ეტყობა, გადაიფიქრა, რადგან ეგონა, ბიჭებს გაბრაზება თანდათან გაუვლითო. მოკლედ, ადგა ეს ხალხი და თავად წამოვიდა გაყიდული პარტიიდან. მას მერე იწვევს სოსო შატბერაშვილი სადებატოდ შალვას პირდაპირ ეთერში, მაგრამ არსად, არც ერთ დებატში შალვა სოსოსთან არ გამოდის და ვერც გამოვა. როცა ყოფილი თანაგუნდელები ფულის აღებას და ხალხის ხმების გაყიდვას გაბრალებენ, თუ მართალი ადამიანი ხარ, სასამართლოს უნდა მიმართო და შენი სიმართლე დაამტკიცო, მაგრამ არც ჩივის შალვა, რადგან მშვენივრად იცის, რომ მტკიცებულებები გვაქვს, სასამართლოზე დავუდებთ და უკვე დოკუმენტურად ვამხელთ.

— რა მოხდება, თუ სასამართლო პროცესი სამოქალაქო წესით

17 გვ.

რატომ გვაქვს საქართველოს სახელმწიფო დროშად „ნაცმოძრაობის“ პარტიული დროშა, რომელიც, როგორც ირკვევა, სომეხი მეფეების კვიპროსული შტოს დროშაა?!

„რა დროშა მოგვცა მიშამ, რა დროშაააა, წითელი, გრძელტარიანიიიი...“

სახელმწიფო დროშა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს, ამდენად, ყოვლად წარმოუდგენელია სახელმწიფო დროშად მიღებული იყოს იმგვარი სემანტიკის დროშა, რომელიც მიუღებელია ამავე ქვეყნის მოქალაქეების დიდი უმრავლესობისთვის. მარტივი განმარტებით, დროშა უნდა კრავდეს, აერთიანებდეს კონკრეტულ ქვეყნაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, საქართველოს შემთხვევაში კი, სრულ აბსურდთან გვაქვს საქმე — საქართველოს თავზე ერთი კონკრეტული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროშა ფრიალებს. და გარდა იმისა, რომ აღნიშნული პარტიისაა, თვით ამ პარტიასაც მოპარული აქვს და თანაც საიდან და ვისგან! ვიღაცებს, შეიძლება, არც ის გაუაზრებიათ, რომ საქართველოში მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები არ სახლობენ და მათთვის ყოველთვის ყოვლად მიუღებელი იქნება, ვერასდროს გაითავისებენ ჯვრებიან დროშას. სიმართლე ეს არის! ამდენად, ახალი მოწვევის პარლამენტიდან და მთავრობიდან, იქნებ ახლა მაინც დავიწყოთ ნამდვილად ახალი საქართველოს აღმშენებლობა და უპირველესად ავადსახსენებელი „ნაცმოძრაობის“ ნაქურდალი დროშა მოვაშოროთ საქართველოს? (ჰიმნის ტექსტი კიდევ, ცალკე საკითხია!)

სოციალურ ქსელში გავრცელდა მისტერ X-ად წარმოდგენილი სომეხი დიზაინერის კომენტარი მის მაისურთან დაკავშირებით (საქართველოს სახელმწიფო დროშით დამშვენებული მაისური აცვია), ეს გახლავთ კილიკიის სომხეთის სამეფოს 1374 წლის დროშაო. ხაზგასმულად რატომ გავრცელდა ეს ვიდეო-ჩანაწერი, რუს ჟურნალისტ გოგონას უცნაურად მოეჩვენა დიზაინერის ჩაცმულობის ამგვარი გადაწყვეტა, რადგან საქართველოს დროშა იცნო თუ შეთანხმება ჰქონდათ, სომეხ დიზაინერს სწორედ რომ უნდოდა ამის თქმა, უცნობია. რა თქმა უნდა, მის ამ განცხადებას აგრესია მოჰყვა ქართველი ფბ-მომხმარებლების მხრიდან, არადა, ეს, ალბათ, პრეტენზიის ერთადერთი შემთხვევაა, როცა ნამდვილად არის სომხეთის წარმომადგენლის მხრიდან სიმართლის მარცვლის შემცველი.

საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის სახელმწიფო დროშად გამოცხადების გამო, მისი გამოჩენისთანავე, იმთავითვე სერიოზული შეხლა-შემოხლა იყო, თუმცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი გაიტანა და თავიანთი პარტიის დროშა სახელმწიფო დროშად დააკანონეს. აღნიშნულ დროშას ვიზუალურად არაფერი აქვს დასაწუნი, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მათი პარტიის დროშაც არ არის...

ვინ მიაწოდა მიხეილ სააკაშვილს ამ დროშის ქურდობის იდეა, ზოგადად, რა მნიშვნელობა აქვს (ამბობდნენ, რადგან მიხელ სააკაშვილი სინამდვილეში სომხური ფესვებისაა, სწორედაც რომ გამიზნულად გამოაცხადა პარტიულ კუთვნილებად საუკუნეების წინანდელი, კვიპროსული შტოს სომეხ მეფეებზე შთამომავლად მიტმასვნის მიზნითო), მთავარი ფაქტია, რომ „ნაცმოძრაობამ“ ნებსით თუ უნებლიედ, გამიზნულად თუ უმეცრებით მაცხოვარს მოპარა, იესო ქრისტეს აწაპნეს საფლავიდან! (ამ თემაზე „საერთო გაზეთი“ წერდა)

აღნიშნულ დროშაზე გამოსახული ხუთი ნიშანი ასეთი სემანტიკით, ჯერ კიდევ IV საუკუნის II ნახევრიდან არის ცნობილი (უფრო ადრინდელი ცნობა არ არის). 1099 წელს ეს ნიშანი იერუსალიმის აღების შემდეგ გერბის გამოსახულებაში ჩაუსვეს ჟოფრუა დე ბუილონს როგორც ქრისტიანობის ცენტრის დამფიქსირებელი ნიშანი, რაც შინაარსობრივად არის მაცხოვარი და სახარების ოთხი ავტორი და ამავდროულად გახდა იერუსალიმის სამეფო გერბი, რომელიც საფუძვლად დაედო იერუსალიმის დროშას.

მაშასადამე, 1099 წელს ეს დროშა დაფიქსირდა როგორც მაცხოვრის საფლავის დამფიქსირებელი ნიშანი, რომელიც გერბად მისცეს ჟოფრუა დე ბუილონს, აქედან გამომდინარე დროშაც (სხვათაშორის, დროშის განმსაზღვრელი არის გერბი). ამავე დროს მიიღეს მმართველის აბსოლუტურად განსხვავებული, საფლავის მცველის ტიტული, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ამ ერთი პიროვნების გარდა არავის უტარებია! იგი მალე გარდაიცვალა, მაგრამ მისმა ძმამ ბოლდუინ I-მა, რომელიც გახდა უკვე იერუსალიმის მეფე, არ ცნო თავი ამ ტიტულის ღირსად, თუმცა ამ გერბს ატარებდა.

სხვათაშორის, აღნიშნულ დროშაზე კამათისას ხშირად გავიგონებთ „რატომ, ლამაზია, მომწონს“ ან „რა მოხდა მერე, იერუსალიმის სამეფო აღარ არის“. რომელიმე ქვეყნის ლამაზი დროშა უკვე გამქრალი სამეფოდან, მრავლად შეგვიძლია მოვიძიოთ და რა, უნდა მივითვისოთ? XIX საუკუნის 70-იან წლებამდე 70-ზე მეტი სახელმწიფო იყო დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე, ყველა მათგანს ჰქონდა გერბი, დროშა და ჰიმნი, კიდევ მოიძებნება უამრავი, მაშინ, ანალოგიურად, მოვიპაროთ, ყველა ჩვენი აღმოჩნდება და ყოველდღე ახალი დროშა ვაფრიალოთ... ყველა მოსაწონია, განსაკუთრებით პრუსიის გერბი არის ბრწყინვალე, თვითონ ამ გერბში 54 გერბი მაინც იქნება დაფიქსირებული — ყოველ წელს გამოვიცვალოთ გერბები. ასე ხომ არ შეიძლება, რახან მკვდარია სამეფო, მისი დროშები მივითვისოთ — ქურდობა არის ქურდობა!

როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ სომხებს უნდა ჰქონდეთ პრეტენზია ამ დროშაზე, ქართველებს კი — არანაირი! დიახ, ამ დროშასთან არანაირი შეხება არ აქვს ქართველებს გარდა იმისა, რომ ქრისტიანები ვართ, პარლამენტმა კი, ვოჰუპით მიიღო იგი და ჟოფრუა დე ბუილონსაც და მის კანონიერ მემკვიდრეებსაც ბრანწი უჩვენა.

ერთმა „ნაციონალმა“ დეპუტატმა რომ დაგვაყვედრა, საამური ცხოვრება დაგიტოვეთო (თუმცა, ვის და რა დაუტოვა, არ ვიცით), რა „საამური ცხოვრება“ დაგვიტოვეს მაცხოვრისთვის მოპარული დროშის ქვეშ?

ვინ და როგორ „მიატმას-

16 ბ3.

ნა“ დღევანდელი საქართველოს დროშა დავით აღმაშენებელს, რომ თითქოს დავით აღმაშენებლის დროშაა, ანუ რა ვიცით ჩვენ — XII საუკუნის დასაწყისში „ჯვაროსნებმა“ ხელთ იგდეს „ღვთის საიდუმლო“ ცოდნის ნაწილი და 1118 წელს იერუსალიმში დაარსდა ტემპლიერთა საძმოს საიდუმლო ორდენი. მათ შეიტყვეს, რომ დარჩენილი საიდუმლოს ცოდნის ნაწილს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ინახავდნენ, მაგრამ ბერებმა მოახერხეს მისი გატანა იერუსალიმიდან, თუმცა სად, ვერაფრით გაიგეს. ტემპლიერებში განხეთქილება მოხდა და ცალკე შეიქმნა რჩეულთა საძმო — როზენკრეიზერები, რომელთაც იტვირთეს განსაკუთრებული მისია, 1121 წლის ივლისში საქართველოში ჩამოვიდნენ (75 რაინდი, მათ შორის იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II) და საიდუმლო მოლაპარაკება გამართეს დავით IV-სთან, რადგან იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნოდა. მოლაპარაკების შედეგი, ცხადია, გულისხმობდა საიდუმლო ცოდნის გაერთიანებას და სამყაროს (ასეა მითითებული წყაროებში) დაპყრობის ძალას წარმოადგენდა. სხვათაშორის, 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომში რაინდებმაც იბრძოლეს, თუმცა ეს საძმოდან გარიცხული რაინდების თვალისასახველად გაკეთდა, ამიტომ ჩანს აღნიშნული დროშა იმ დროს დავით აღმაშენებელთან.

ისეთი სურათია შექმნილი, რომ არც ოფიციალურმა პირებმა და არც მოქალაქეებმა არ იციან როგორია სახელმწიფოს გერბი, შესაბამისად, გამოიყენება ვისაც როგორ უნდა და როგორც ჩანს, ამაზე თვალს ხუჭავს სწორედ ჰერალდიკის საბჭო. მოქალაქეებს არ ევალებათ ამის ცოდნა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა, ჩნდება ეჭვი, რომ არ იციან როგორი უნდა იყოს სახელმწიფო გერბისა და დროშის წარმოშობა, შინაარსი, მათი გამოყენების წესები და დატვირთვა. ამაზე უდიდესი შრომაა გაწეული, მაგრამ ...

ტელე-გადაცემაში „ცოდნა ფულია“ სალაპარაკო გახდა ის, რომ არა მხოლოდ მონაწილემ, დარბაზმაც არ იცოდა საქართველოს ჰიმნის მუსიკის ავტორი. უნებლიედ გაიფიქრებდა კაცი, ნეტავ, საქართველოს სახელმწიფო დროშის ავტორი ვინღა არისო?

მართლაცდა, ვინ არის? საინტერესოა, დღემდე „პირველ ჩვენებას აწვებიან“ რომ ჯუნა მიქატაძე, ან ვახტანგ რურუაა (რომელსაც პრეტენზია არ აქვს)? რანაირად შეიძლება თანამედროვე ქართველი ავტორი ჰყავდეს დროშას, როდესაც მისი წარმომავლობა საუკუნეების მიღმიდან მოდის და მითუმეტეს, როცა არანაირი კავშირი არ აქვს არანაირ ქართულთან?

იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო გერბზე — ვინ არის საქართველოს სახელმწიფო გერბის ავტორი, მამუკა გონგაძე? აბა, ვახუშტი ბატონიშვილი ვინ არის?

როგორც ვხედავთ, დროშის დანიშნულება ვინც იცის, ახლოს არ იკარებენ, ვინც არ იცის, მას დროშა რაღაც, „საფრიალო ნაჭერი“ ჰგონია, ამიტომ ვერ გაუგიათ, რომ საქართველო ერთია და მას აქვს ერთი განსახიერება; ერთ სამოხელეო დაწესებულებაზე ერთი საქართველოს განსახიერება უნდა იყოს და არა ოცი. თუ მაინცდამაინც დროშების ფრიალი უნდა ვინმეს, 300-ზე მეტი სახელმწიფოა და აფრიალოს ყველა ერთად, პატივისცემაში მაინც ჩაეთვლება და არა სიბრიყვეში...

როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართული დროშა, რომელი საწყისიდან უნდა ამოვიდეთ, ძნელია ამის თქმა, თუმცა, ძალიან მწირი, მაგრამ მაინც გვაქვს რამდენიმე ვიზუალური წყარო, თუნდაც საეკლესიო დროშა, რომელიც ეკლესიას გამოაქვს — წმინდა გიორგის ჯვარი.



სხვათაშორის, მხედარი, რომელიც ურჩხულს ებრძვის, ყველა წმინდა გიორგი არ არის. თითოეულ წმინდანს აქვს თავისი სიმბოლური, ან ემბლემატური გამოსახულება (ან ორივე). წმინდა გიორგის აქვს რამდენიმე ატრიბუტი რომლითაც ამოიცნობ, თორემ დრაკონის შუბით განმგმირავი მხედარი, მის გარდა, უამრავია, განსაკუთრებით, ევროპაში, რადგან ყველა რაინდი ეძებდა გრაალს და გზაზე მუსრს ავლებდნენ დრაკონებს.

წმინდა გიორგის ერთ-ერთი ამოსაცნობი სიმბოლოა სწორკუთხა წითელი ჯვარი!

აღსანიშნავია, რომ სიმბოლიკა არის უაღრესად ლამაზი, დახვეწილი, ნატიფი და ლაკონური ენა. თამარაშვილს აქვს კათოლიკე ბერის, კოტოვიჩის აღწერილობა მოყვანილი, რომ „ქართველებს დროშაზე წმინდა გიორგი ჰყავთ გამოსახული...“ მას რომ ენახა მხედარი, რომელიც დრაკონს გმირავს, მაშინ იტყოდა, ქართველებს დრაკონის განმგმირავი რაინდი ჰყავთ გამოსახულიო. ვინაიდან ზუსტად დაასახელა წმინდანი ე.ი მან ნახა ისეთი ნიშანი რომელიც ამ წმინდანზე მიუთითებდა — სწორკუთხა წითელი ჯვარი. მას რომ ირიბი ჯვარი ენახა, წმინდა პატრიკს იტყოდა; ირიბი თეთრი ჯვარი რომ ენახა, იტყოდა, წმინდა ანდრია ჰყავთ გამოსახულიო; ჯვარზე გადაკვეთა რომ ენახა დაბლა, მაშინ წმინდა პეტრე ჰყავთ ქართველებსო, იტყოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მფარველი ვინც არის, ის უნდა იყოს მისი განმასახიერებელი დროშაზეც და გერბზეც — ფრიალებს ეკლესიაში ეს დროშა, ლურჯი ქობა აქვს შემოვლებული, თორემ ინგლისისას დაემსგავსებოდა.

P.S ისტორიის კუთხით ეს ძალზე საინტერესოა — გამწარებულმა პაპმა, იმის გამო, რომ ჰენრი VIII გაეყარა ეკატერინე არაგონიელს და ცოლად მოიყვანა ანა ბოლეინი, რისი წინააღმდეგიც იყო ინგლისური ეკლესია, განთიშა კათოლიკური ეკლესიიდან (აქედან იწყება ანგლიკანური ეკლესია) და წმინდანთა რანგირებაში ჩამოაქვეითა წმინდა გიორგი, როგორც ინგლისის მფარველი წმინდანი და ამ დროს ხდება საქართველოს ტერიტორიაზე მისი დაფიქსირება იმავე რანგში.

საბედნიეროდ, წმინდა გიორგი არ მოგვიპარავს, ჩვენი მფარველი იყო, მაგრამ ამ დროიდან მაინც ფიქსირდება, წმინდა გიორგისათვის „ძნელბედობის ჟამს“. ჰენრი VIII გაამწარა პაპმა, თორემ მსოფლიოში ბევრგან ფიქსირდება ტერიტორიები წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ...

გიორგი ჩხეიძე

შალვა ნათელაშვილმა ან გიჟის ცნობა წარმოადგინოს, ან ციხეში მოუწევს ჩაჯდომა!

15 გვ.

მოიგეთ, მაგრამ შალვა ნათელაშვილი არ უარყოფს თავის გავრცელებულ ინფორმაციას და არც კომპენსაციას გადაიხდის?

— სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს და თუ ვინმე ამას არ გააკეთებს, ეს უკვე ცალკე, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი სხვა დანაშაულია, ანუ „ვულოცავ“ შალვა ნათელაშვილს - მშვენიერ შარში გაყო თავი, მე რომ ამ საქმეების წარმოების სრული საფუძველი მომცა!

- ლეიბორისტული პარტიიდან ბევრი წასულა და თქვენ ასე რატომ გადაგეკიდათ?

- წინასაარჩევნო კამპანიის დროს, „მემარცხენე ალიანსმა“თავის მთავარ ამოცანად დაისახა, რომ შალვა ნათელაშვილისთვის, როგორც პოლიტიკური თაღლითისთვის, ნიღაბი ჩამოეხსნა და მოსახლეობამდე სიმართლე მიეტანა.

სწორედ ჩვენ გავაგებინეთ ხალხს ყველაზე კარგად, რატომ არ უნდა მიეცათ ხმა არც ნაციონალებისთვის, არც ამ დამნაშავე პოლიტიკური ძალის წიაღში შობილი და არც ამ დამნაშავე პოლიტიკურ ძალას მიყიდული პოლიტიკური ძალებისთვის, რომელთა პირველ რიგებში სწორედ „ლეიბორისტები“ მოიაზრებიან. ხომ დაინახეთ, არჩევნებამდე ვითომ მალავდა და ჩქმალავდა შალვა, რომ ის ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ მისი ბატონის და პატრონის, სააკაშვილის დავალებების უსიტყვო შემსრულებელია და მეტი არავინ, მაგრამ არჩევნებების შემდეგ, როდესაც შალვა პარლამენტში ვერ შევიდა და ნაციონალების გვერდით პარლამენტში დგომის შანსი მოესპო, უკვა ღიად გადმოდგა და ყველა ტრიბუნიდან მოსახლეობას მეორე ტურში ნაციონალების მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ანუ ჩვენ, როდესაც მას ვუწოდეთ „სააკაშვილის ხელის ბიჭი“და „ყვარყვარე“ სიმართლეს ვამბობდით და გვიხარია, რომ ეს სიმართლე ხალხმა გაიგო. ტყუილად ნუ ჰგონია ნურც შალვას და ნურს სხვას, რომ ჩვენს უკან იდგა ან დღეს დგას ბიძინა ივანიშვილი მიუხედავად იმისა, რომ მან მართლაც გამოიყენა შალვასთვის ჩვენი შერქმეული სახელი „ყვარყვარე“ . ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვისმენდა, გვისმენს და მომავალშიც მოგვისმენს ხალხი და მათ შორის, ალბათ, ბიძინა ივანიშვილიც. ძალიანაც კარგი - გვისმინონ და გაიგონ, რომ ჩვენს უკან იდგა, დგას და ყოველთის იდგება გაჭირვებული, ღირსება და პატივაყრილი ჩვენი ქვეყანა, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებს, რომ „მეცოცხე“ პოლიტიკური ძალა და ამ ძალის იდეური აპოლოგეტი შალიკო, ან ისეთი ვინმე წამოაჯდეს თავზე, რომელიც ხალხს აყრილ ღირსებას ვერ დაუბრუნებს. მოკლედ, „მემარცხენე ალიანსმა“ ამ არჩევნებზე დასახულ მიზანს მიაღწია და შედეგად, შალვას დემაგოგიით მონუსხულმა ძალიან ბევრმა გონსმოგებულმა ადამიანმა გუნდ-გუნდად დატოვა შალვას „კანტორა“.

- ანუ, ეს ინციდენტი, საბოლოოდ, ამოწურული არ არის?

- არ ვიცი, რა შედეგებამდე მივა ეს გამოძიება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მე ჩემს მიერ შეტანილ საჩივრებს არავითარ შემთხვევაში არ მივატოვებ შუა გზაზე, რადგან მე საქმეში და ბრძოლაში უკან დახევა არ მჩვევია. ფაქტია, რომ ვიღაცამ ეს ადამიანი დაუკრეფავიდან უნდა გამოიყვანოს და დააოკოს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამხელა ქვეყანაში ეს საქმე მაინცდამაინც ჩემი გასაკეთებელი აღმოჩნდებოდა, მაგრამ, რადგან ასე დალაგდა ფაქტები და მოვლენები, ეტყობა, შალვას ბედიც ეგ ყოფილა. ნამდვილად დროა, გაიგოს ამ ადამიანმა, რომ ნიღაბი პრაქტიკულად ჩამოხსნილი აქვს, ამიტომ ახლა რაც უფრო ბევრს იხვანხვალებს, უფრო სწრაფად და ღრმად ჩავა თავისივე ხელით გათხრილ პოლიტიკურ სამარეში, რის შემდეგაც „ძიწის მიყრას“ მისი მოტყუებული და გალანძღული ერი არ დაამადლის!

მოკლედ ასე საქმე: შალვა ნათელაშვილმა ან გიჟის ცნობა წარმოადგინოს, ან ციხეში მოუწევს ჩაჯდომა!

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები

თელავში განახლებული ბატონის სასახლე გაიხსნა

ერეკლე მეორის სასახლის რესტავრაცია დასრულდა. სასახლის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

სასახლის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონი, თელავის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში გელა სამხარაული, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და სხვა ოფიციალური პირები.

პროექტის მიზანია ძეგლისთვის პირვანდელი იერსახის შენარჩუნება და კახეთის რეგიონში ტურიზმის ხელშეწყობა. მუნიციპალური განვითარების ფონდის ძალისხმევით, ბატონის სასახლე ავთენტურობის სრული დაცვით არის რესტავრირებული. პროექტი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შეთანხმებით მომზადდა.

სასახლის რეაბილიტაცია 1 871 893 ლარი დაჯდა.

სასახლის ეზოში ბატონის ციხის მუზეუმის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის შენობას დაემატა საგამოფენო დარბაზი, რომლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება 2017 წლის გაზაფხულზე იგეგმება. პროექტის ღირებულება 5 000 000 ლარს აღწევს.

აეროდრომი ახმეტის სოფელ ომალოში

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში აეროდრომის პროექტირების შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ შიდა ავიაციის განვითარება ქვეყნის სივრცითი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ·

„ჩვენი მიზანია, საქართველოში იყოს რაც შეიძლება მეტი მცირე აეროდრომი იმისთვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მოსახლეობამ და, რა თქმა უნდა, ტურისტებმა ისარგებლონ. ეს იქნება უფრო მეტი დასაქმებული ადამიანი და მეტი კეთილდღეობა თითოეული ჩვენგანის ოჯახში. ამ შემთხვევაში ეს გულისხმობს თუშეთს, რომელიც საქართველოს მარგალიტია თავისი განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობით. ასევე, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და იმედი გამოთქვა, რომ ომალოში ასაფრენი ზოლისა და აეროპორტის მშენებლობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ამბროლაურის აეროპორტის ტერმინალის მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი წლისთვის დასრულდება.

საჩხერეში მეორე საზოგადოებრივი ცენტრის ამოქმედება იგეგმება

საჩხერის მუნიციპალიტეტში რიგით მეორე საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციონირება იგეგმება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ბაზაძემ შარშან, სოფელ კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრის გახსნისას, თხოვნით მიმართა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, რომელმაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას მრავალფუნქციური ცენტრის აშენების დაპირება მისცა.

იუსტიციის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სოფელ ჭალასა და პერევში საზოგადოებივი ცენტრისთვის შესაფერისი ტერიტორიები დაათვალიერეს.

საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიღებისთვის, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისთვის ადგილობრივ მცხოვრებთ მუნიციპალურ ცენტრში წასვლა აღარ მოუწევთ, რაც მათ თანხებისა და დროის დაზოგვის საშუალებას მისცემს, იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. ცენტრში ხელმისაწვდომია თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკაც.

საზოგადოებრივი ცენტრების მიზანი სოფლის მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა.

საქართველოში 2016 წლის ბოლომდე აღნიშნული ცენტრების რაოდენობა 40-მდე გაიზრდება.

საჩხერე

აბაშა – ანგარიშის წარდგენა ამომრჩევლებთან

გამგეობის საკონფერენციო დარბაზში აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი ამომრჩევლებს შეხვდა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. გამგებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში შესრულებული ინფრასრუქტურული, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური პროექტები. მან ასევე ისაუბრა სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე. შეხვედრას ესწრებოდა ასამდე ამომრჩეველი, საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ქურდოვანიძე, საკრებულოს წევრები და გამგეობის სამსახურის უფროსები. ანგარიშის წარდგენის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ საკრებულოს თავმჯდომარე და ამომრჩევლები. შეხვედრამ საქმიან და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

პოლონელი ბიზნესმენები მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ პოლონელ ბიზნესმენებს უმასპინძლა. შეხვედრა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი ბიზნესმენები ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი ადგილობრივი და პოლონელი ბიზნესმენების დაახლოება და ბიზნესწინადადებების შემუშავება იყო. შეხვედრაზე ისაუბრეს ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში პარტნიორობის გააქტიურების პერსპექტივებზე, ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით არსებულ შესაძლებლობებზე. მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს საქმიანი კავშირების გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე გაიმართა პოლონური წარმოების პროდუქციის პრეზენტაცია, ასევე მოეწყო პროდუქციის გამოფენა და დეგუსტაცია.

თეატრალიზებული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“ მესტიაში

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“.

წარმოდგენაში, რომლის რეჟისორია თამარ ხიზანიშვილი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

მსახიობებმა რუსთაველის უკვდავი პოემის რამდენიმე ეპიზოდი თეატრალური მოქმედებებით გააცოცხლეს. საკმაოდ შთამბეჭდავმა წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

პროექტის ფარგლებში ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“ 10 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე საქართველოს 27 მუნიციპალიტეტში იქნება წარმოდგენილი.

წალენჯიხა – თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ლევან შონია წალენჯიხაში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის გადამმუშავებელი საწარმოს სამუშაო პროცესს გაეცნენ. კომპანია „ჯეოდემოს“ საწარმო სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში ჯამში განხორციელდა 1 150 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, აქედან 294 167 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 367 709 აშშ დოლარი – შეღავათიანი აგროკრედიტი. შპს „ჯეოდემოს“ საწარმოში

ძლიერი საქართველოსთვის

ფალეფაჯიხა

100-მდე ადამიანია დასაქმებული. კომპანია წელიწადში 550 ტონა დაკალიბრებული თხილის გულს აწარმოებს. პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება. უახლოეს მომავალში კომპანია „ჯეოდემოს“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და USAID/REAP-ის მხარდაჭერით საერთაშორისო სტანდარტს ISO:22 000 მიიღებს. ISO:22000 სტანდარტის ლიცენზიის ღირებულება 8 980 დოლარია. საერთო ღირებულებიდან 2694 დოლარი ბენეფიციარს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაუფინანსა, 4 490 დოლარი – USAID/REAP-მა, ხოლო დარჩენილი 1796 აშშ დოლარის გადახდა კომპანიამ თავად უზრუნველყო. შპს „ჯეოდემო“ დაახლოებით სამ კვირაში სერტიფიკატს მიიღებს.

ხობის საბავშვო ბაღებს ტექნიკა გადაეცათ

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა სააღმზრდელო გაერთიანებამ“ საბავშვო ბაღებისთვის შეისყიდა 21 600 ლარის ღირებულების ტექნიკა. გაზქურები, სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, ელექტრო და ხორცსაკეპი მანქანები 29 საბავშვო ბაღში განაწილდა.

ინფრასტრუქტურული პროექტების ბაკურიანში

დაბა ბაკურიანში ქუჩებისა და ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა. ფონდის წარმომადგენლების განმარტებით, ბაკურიანში სულ 12 ქუჩისა და 4 საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია იგეგმება.

ცაბაძის ქუჩაზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა უკვე დასრულდებულია. ამჟამად კი 9 აპრილის ქუჩაზე ასფალტის საფარის დასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო ცენტრალურ გზაზე ფეხით სავალი გზის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

სკვერი სოფელ ტბაზე

სოფელ ტბაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება.

ტერიტორიაზე განთავსდა ბავშვთა ატრაქციონები, საბაღე სკამები და ურნები.

ხობი

უნდა აღინიშნოს, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება გზებს, რიტუალების სახლებსა და სკვერებს. შემოიღობება სახნავ-სათესი მიწები, განხორციელდება ასევე სანიაღვრე არხებისა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები.

სოფელ დვირში რკინაბეტონის გზა და სანიაღვრე არხი მოეწყო

სოფელ დვირში, ლომსაძეების უბანში, დასრულდა რკინაბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში გზა 135 გრძივ მეტრზე დაიგო, კეთილმოეწყო ასევე სანიაღვრე ქსელი.

სამუშაოების დაწყებამდე მოსახლეობას გრუნტის გზით უწევდათ სარგებლობა, რომელიც წვიმის დროს ტალახდებოდა და ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევდა.

პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა და ის 38 510 ლარით დაფინანსდა.

ამავე პროგრამის მიხედვით, 90 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე მოწესრიგდა სანიაღვრე არხი გელაშვილების უბნიდან მდინარემდე.

ბოლნისს ახალი გამგებელი ჰყავს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტურში, ოფიციალური შედეგების თანახმად, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა გაიმარჯვა. დავით შერაზადიშვილს ნდობა ამომარჩეველთა 95,26 პროცენტმა გამოუცხადა.

ახალარჩეულმა გამგებელმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გამოცხადებული ნდობისთვის.

„მზად ვართ მოსახლეობისგან მივიღოთ და განვიხილოთ ყველა საინტერესო ინიციატივა. გპირდებით, რომ ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით გავაგრძელებ მუშაობას და თითოეულ თქვენგანთან ერთად შევქმნით ბოლნისის უკეთეს მომავალს“, – განაცხადა დავით შერაზადიშვილმა.

ქედა – ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები დასრულდა

2016 წლის ივნის-ივლისში ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მდინარე აკავრეთის ხეობას მიაყენა. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ობიექტების – სოფელ ნამონასტრევში საავტომობილო და საცალფეხო ხიდების, კუჭულა-ოქტომბრის დამაკავშირებელი ხიდისა და ორცვის წყალსადენის აღდგენითი სამუშაოებისთვის აჭარის ა რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 110 974 ლარი გამოიყო.

„სტიქიის დროს მთაში ვიმყოფებოდით, ჩემი ოჯახი გარესამყაროს იყო მოწყვეტილი. მსგავსი წყალდიდობის შესახებ წინაპრებისგანაც არ მსმენია. მადლობა ხელისუფლებას, რომ დროულად დაიწყო სამუშაოები და დღეს უკვე მოძრაობა აღდგენილია“, – აღნიშნა ნამონასტრევის მკვიდრმა 80 წლის გურამ თურმანიძემ.

დასრულებული ობიექტები მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით დუმბაძემ მოადგილესთან და ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა.

შუახევი – სოფელ გორხანაულში საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი იგება

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გორხანაულში 200-მეტრიან საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს. ამ პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 000 ლარია გამოყოფილი.

ჩაქვი

ხულო – კურორტ ბეშუმის არალეგალური ნაგავსაყრელი 453 ტონა ნარჩენისგან გასუფთავდა

კურორტ ბეშუმის უკანონო ნაგავსაყრელი, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტში 2002-2012 წლებში ფუნქციონირებდა, ოფიციალურად დაიხურა. 780 m^2 ნაგავსაყრელის ტერიტორიიდან საერთო ჯამში 453 ტონა ნარჩენია გატანილი.

„ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ – USAID-ის ამ პროგრამის ფარგლებში მომზადებული გეგმისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაიხურა ბეშუმის ნაგავსაყრელი. აღნიშნული სამუშაოები ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ განახორციელა ორგანიზაციებთან – „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN), „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) და „ტყის მდგრადი მართვა“ – გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, შესაბამისი თანადაფინანსების მეშვეობით.

2012 წლიდან ნაგავსაყრელზე ნარჩენი არ იყრებოდა. ამავე პერიოდიდან არც მონიტორინგი ხორციელდებოდა და ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დაფარული იყო 1,0-1,2 მ, ზოგან კი 2,5 მ ნარჩენების ფენით.

ამ ეტაპზე კურორტ ბეშუმში განლაგებულია ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები, შესაბამისად, ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელზე ყოველ სეზონზე რეგულარულად ხორციელდება.

ქობულეთი – დაბა ჩაქვში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი დაბა ჩაქვში, ცენტრიდან სასტუმრო „ოაზისამდე“ გზის რეაბლიტაციასა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე მუშაობს. სასტუმრო „ოაზისის“ ტერიტორიის ირგვლივ საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარი დაზიანებულია, ზოგან კი საერთოდ არ არსებობს.

პროექტი ითვალისწინებს სასტუმროს ტერიტორიის გარშემო, საავტომობილო გზაზე, ბეტონის ფილების დაგებას. მოპირკეთდება აგრეთვე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სამხედრო ნაწილის წინ მდებარე ტერიტორია. მოეწყობა სანიაღვრე არხები და კანალიზაცია.

სამუშაოების დასრულების შედეგად საკურორტო ზონაში გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 870 298 ლარია. მუნიციპალური განივთარების ფონდი სამუშაოების დასრულებას 2017 წლის იანვარში გეგმავს.

სამართალმა პურიც ჭამა და შვიდი მილიონიც ზედ მიაყოლა...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, სახელად ცრუ ჩოჩორი, ზედმეტსახელად "ჟმოტი"...

ბევრი იფიქრა ცრუმ, სად და როგორ დაემკვიდრებინა თავისი ცრუ თავი, სად და რა საქმეში გამოადგებოდა სიცრუე და „სიჟმოტე" და ბოლოს გადაწყვიტა - ბიზნესი და პოლიტიკაა ჩემი საქმეო...

ჰოდა, დაიწყო ბიზნესით: შოკოლადი და სასმელებიო, სახლები და მანქანებიო, შპალერები და ფერადი შპალერებიო... ამრავლა და აბარტყა საქმე, თუ თავის რაიონში რამე მეტ-ნაკლებად სარფიან საქმეს მოკრავდა ყურს, ახლოს არავის აკარებდა, კარგიცა და საუკეთესოც მხოლოდ თავისთვის უნდოდა... ვინმე სხვა როგორ უნდა მაჯობოს ფულის

შოვნაშიო, ამაყობდა... რას ჰქვია, დავეხმარო თანასოფელსა თუ მეზობელს და ბიზნესისთვის ფული ვასესხო, ან ხელი გავუმართო, ჯერ მე და მერე ისევ მეო, ჩაიცინებდა ხოლმე გულშიცა და სულშიც...

მისწვდა ცრუს ყურს, „ჟმოტს" გეძახიან ფარულადო, მისწვდა და ეამა... ესე იგი, კარგი ბიზნესმენი ვყოფილვარ, ესე იგი, უფრო მეტს მოვიხვეჭ და დავაგროვებ, ესე იგი, კარგად გავუცვნივარ უკვე ადამიანებს და იციან, რომ არაფერი უნდა მთხოვონო...

და ასე ნაამები წავიდა პოლიტიკაში... ჯერ საკრებულოს თავმჯდომარეობდა, გაუტკბა, კარგი ყოფილაო ერთად ფული და ძალაუფლებაო... მერე გაგუბერნატორდა... ჰოდა, გაგუბერნატორებული უფრო გაიმართა წელში, უფრო გაამაყდა, უფრო ზემოდან დაიწყო ყურება, უფრო მაღალ ჯიპს შემოაჯდა...

ანდაზა შეახსენა მაშინდელმა ხელისუფლებამ, ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად კი პირს და თუ პირდაბანილს გინდა სიარული, ცოტა აქეთათ მოგვაწვდინეო... არ ესიამოვნა ცრუსა და „ჟმოტს", მაგრამ პირის დაბანაც უყვარდა და პირის გემოც ჰქონდა უკვე დაგემოვნებული, ამიტომ, უარი ვერ შეჰკადრა...

გუბერნია? გუბერნია იყო თავისთვის, არც პატრონი ჰყავდა და არც მცველი, მგელსაც გაჰქონდა და ბერსაც, შიმშილიც მეფობდა და სიცივეც... ერთ წელს სამი ადამიანი დაიღუპა გუბერნიის ერთ სოფელში, ხელისუფლების უყურადღებობის გამო... ინერვიულა ცრუმ, ვაი, როგორ ინერვიულა, აღარ იცოდა რა ექნა... გადაწყვიტა, ცოტა თანხა უნდა გავიღოო, ასე იმ სამ ადამიანს ვერ ვუშველი, მაგრამ დეპრესია გადამივლისო, ჰოდა, ახალი ავტომანქანა იყიდა, 105 000 აშშ დოლარიანი **„lexsus lx 570"**... იყიდა და გულს მოეშვა... მას შემდეგ, არც მანქანების ყიდვაზე ეუბნებოდა საკუთარ თავს უარს და არც ბინებისა და ნაკვეთების...

ბედნიერ და წარმატებულ კაცს მტრებს რა გამოულევს? აკი, კარგი კაცი მუდამ მტრიანია? გამოუჩნდნენ ცრუსაც მტრები, სახელმწიფო მოხელეს ამდენი ბიზნესი როგორ გაქვსო - შეედავენ... ჰეო, მე რომ ძმა მყავს სახელად ხელისდამბანელა, იმისია ეგ ბიზნესები, მე რა შუაშია და თავში ვარო და გადაუფორმა სასწრაფოდ ხელისდამბანელას ბიზნესები... ასე ჩააგდებინა მტრებს ენა ცრუმ და ხელისდამბანელამ... ცრუს კი უხაროდა, უხაროდა რომ ამ დროსა და ამ საუკუნეში დაიბადა... კომუნისტების დროს ამდენი ფულს და ბიზნეს როგორ დავმალავდიო, უმადლიდა ღმერთს... წლიური ხელფასი 35 400 ლარი მქონდა და ბანკიდან 400 000 აშშ დოლარის სესხი გამოვიტანე, საიდანაც 202 ათასზე მეტი მხოლოდ საპროცენტო გადასახადია და კომუნისტები ხომ მკითხავდნენ, თუ ბიზნესი არა გაქვს, შე კარგო ადამიანო, თუ ხელფასი წლიურად 35 ათასი ლარი გაქვს, 400 ათასი დოლარი ან რაში გჭირდება, ან ვინ განდოო?

მაგრამ დრო იყო სხვა, დრო... ამ სხვა დროს პარლამენტიც თავისი ჰქონდა და ახლა პარლამენტარობა მოინდომა ცრუმ... პარლამენტის იმუნიტეტი ჰქონდა მხოლოდ განაგონი, თორემ, არც კვორუმის აზრზე იყო და არც კანონპროექტების... ზრდიდა და უვლიდა, პარლამენტის იმუნიტეტს ამოფარებული თავის ბიზნესებს, ზრდიდა და აბარტყებდა...

პარლამენტარობასაც თავისი დასასრული ჰქონდა და დარჩა ცრუ, თავისი ბიზნესის ამარა... ამასობაში ხელისუფლებაც შეიცვალა... ცრუმ თავისებურად, ხარბად და „ჟმოტურად" შესთავაზა ახალ ხელისუფლებას ხელის დაბანა, მაგრამ ხელდაბანალი იყო ახალი ხელისუფლება და პირდაუბანელს დაგტოვებთო, მიანიშნეს, თუ წესიერად არ გადაიხდი გადასახადებს და ყველა წესის დაცვით არ აწარმოებ ბიზნესსო...

დასცხა ცრუს, დასცხა და მოსწყურდა... ბეკეკას დაუწყო ძებნა, განტევების ვაცად რომ წარედგინა... ბეკეკა ვერ იპოვნა, მაგრამ გამოსავალს მიაგნო:

ჯერ მთავრობასთან მოისაწყლა თავი, მეო, პატიოსანი ბიზნესმენი ვარ, პოლიტიკაში არც ვერეოდი და არც ვერევიო... არც მიშა მაინტერესებს და არც ვანოო... ვანოსთან ვმეგობრობდი და მე და ვანოს საერთო ბიზნესები გვქონდა? - სასაცილოა, მიგონებენო... ახლა, მე ავაშენებ რამდენიმე ახალ ქარხანას, დავასაქმებ ხალხს და თავად ნახავთ, როგორ წესიერად და პატიოსნად ვმუშაობო...

მერე ჟურნალისტებთან ისაუბრა: მდევნიან მე, მდევნიან უმიზეზოდ და უსაბუთოდო, დაუმსახურებლად და პარტიული ნიშნითო... მართალია, უპარტიო ვარ, მაგრამ იმ პარტიის მმართველობის დროს, რომ შევქმენი ბიზნესი, რომელიც ჩემს ძმაზე ხელისდამბანელზე მქონდა გადაფორმებული, იმას მედავებიანო...

საქმე მაინც აღიძრა ცრუს საქმიანობაზე, აღიძრა და ცრუმ საპროცესო გადაიხადა, გადაიხადა და გულს მოეშვა, ისე ცოტა გადამახდევინეს, ეტყობა, ჩემი ყველა ბნელი მაქინაციისთვის არ მიუგნიათო...

მაგრამ მშვიდად მაინც ვერ დაიძინა... ყოველღამე ესიზმრებოდა ციხის საკანში მჯდომი ვანო, რომელიც ხელს უქნევდა და ეძახდი, მოდი, ჩემო ცრუვ ჩემთან, მოდიო...

ჰოდა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: პარლამენტში უნდა მოვხვდე ისევ,რადაც არ უნდა დამიჯდესო... დაიბარა ნაცნობ-ახლობლები, აბა, რა ვქნათ, ვის ვთხოვოთ დახმარება, ვინ დამიდგება გვერდითო... თავი ჩახარეს ნაცნობ-ახლობლებმა - არავინ გვეგულება, თქვენი მომხრეო...

შეწუხდა ცრუ, უმადური ეძახა თანაგაზრდილებს... და ჯიბეები მოიფხიკა... ფული დავარიგოთო...

ის ამბავი თუ იცით თქვენ,

ერთმა ამომრჩეველმა რომ შესთავაზა ხალხს 50 დოლარიო - შეჰბედა ერთმა...

არ ვიცი და მერეო?

მერე ხალხს ერთ კაცი გამოეყო და კანდიდატს ჰკითხა - ქალებში თუ დადიხართ, ბატონო თქვენო... გაუკვირდა კანდიდატს და მორიდებულად ჩაილუღლუღა, ზოგჯერ კი... - ჰოდა, რა გიჯდებათ ერთი გასეირნება? - არ მოისვენა ამომრჩეველმა... - დაახლოებით 50 ან 100- კიდევ უფრო ჩუმად ჩაილუღლუღა კანდიდატმა... - ერთ საათში უხდი ქალს 50 დოლარს, ბატონო და ჩვენ გინდა 50 დოლარად 4 წელი გვიხმაროო? ... ა, ასეა საქმეო....

მიხვდა ცრუ ნაგულისხმევს, კბილები გააკრაჭუნა, „სიჟმოტის" ოფლმა დაასხა და სკივრიდან ბალიში ამოიღო... აჰა, გახსენით და დაარიგეთ, იცოდეთ შვიდი მილიონია და ეს შვიდი მილიონი ჩემს საპარლამენტო მანდატად უნდა გადაიქცესო...

ჰოდა, უთხრეს, დავარიგეთ ეს შვიდი მილიონი ადამიანებზეო. მშვიდად ეძინა ცრუს, აღარ ესიზმრებოდა ვანო, თავი ქუდში ეგონა და ქუდი თავსზემოთ, ფულზე ვინ ოხერი იტყვის უარს და ფულის ძალას, რომელი კანდიდატი აღუდგება წინო...

ჰოი, საოცრებავ, წააგო არჩევნები ცრუ ჩოჩორმა, მეტსახელად „ჟმოტმა", წააგო და თავში ხელი მოიშინა, წააგო და გულზე ხელი მოიკიდა, წააგო და სანამ პარლამენტის დაკარგული მანდატი და ვანოს საკანი გაახსენდებოდა, შვიდი მილიონი დაუდგა თვალწინ... დაჭრილი დათვივით აბღავლებულა: დამიბრუნეთ, ჩემი შვიდი მილიონიო...

არც დაგეკარგებათ, ბატონო ცრუვ და არც დაგიბრუნებენ...

ასეა, ყველა ზღაპარი კარგად მთავრდება... სამართალმა პურიც ჭამა და შვილი მილიონიც ზედ მიაყოლა...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04



ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲛᲔᲠᲯᲣᲚᲐᲓ: 1. ამა თუ იმ ენის სიტყვათა ნერის ზესგბის საყოველთაოდ მიღებული სისტემა, მართლწერა. 2. საგანგარეგანი ნარალი ერთანეთთან ზამპარებით შეერთებული სახელურებით, ხმაროობენ კუნთების გასამაგრებლად. 3. პატარა აპარატი ფოტოგრაფიული დირეგიტორებისა და ანაბეჭდების დასაამუშავებლად. 4. საფრანგეთში ტანსაცმლის დიზაინერი. 5. ო. ოსელიანის „განძის“ პერსონაჟი ქალი. 6. დეფამინის ქერქის ზედა, ფხვერი ნაწილი. 7. ხვიარა დეკორაციული მცენარე ძაბრისებური მინითალი ან ალაბი ყვავილებით. 8. ესტონეთის სამხრეთ. ქალაქი. 14. იტალიაში ტაძართან ფალკე აშენებული ოთხკუთხედი სამრეკლო. 16. ესპანეთში ნეფის ასული. 17. ძველ ალბერძნეთში ქვითი ფარის ალბრძოლი წყობა ერთანეთთან მიჯრილი მშვრიფები. 18. ისრაელის ნაწარმი მიგენური საშუალებები. 19. ძველ რომში მიედანი, სადაც ინარეებიდა სასალამო კრებები. 21. ნყალქვეშ მომუშავე ნყალქვეშელი. 23. აფრიკის სახელმწიფო, ყოფილი კონგო. 25. იაპონი ბათიე ეგაზე. 27. ქალაქი გერმანიაში, კარლ მარქსის ძმაბლიური ქალაქი. 28. წსგაც ციმიერი ნაერთი, მეგალითან ბეერთებისას ნარმოქმნა მარილს. 29. მოშკერალი ... მარტინი. 30. პილიანელი პოეტი ... მიხეილი.

თარაზულად: 3. მოსასწენად ერაალსიამოვნო მეხამეა ბგერებია, არაკეთილმოვანება. 8. სარდალი, რომელმაც სპარტაკი დაამარცხა. 9. ლიდის მეფე, რომელსაც ღმერთებმა მიუსაჯეს საუკუნო ტანჯვა. იდგა ყელამდე ნყალში მიგრამ ნყალს ვერ სვამდა. 10. ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა საბრძოლო იარაღი მსუბუქი ნაფანი, რომელსაც ორიდან სასროლად იყენებდნენ. 11. ხსუბუქად ძეიარაღებული ცხენოსანი ფარისეული პოლონეთის არმიაში. 12. მექანიზმი, რომელიც ბრუნვას გადასცემს კბილების საშუალებით. 13. ხანმოკლე წკვეთი გადიდება ქალაქის ტრანსპორტის, ელ. სადგურის დაცვითვისა გარკვეულ საათებში. 15. ლითონზე შესრულებული გრავიურა გამოსაბეჭდების ჩაღრმავებული ამოჭრის გზით. 17. ეგილის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ეგის ძვალში. 19. ფაშისტური გერმანიის საბრძოლო რაზმი. 20. ქვეყნმოქნილი, მოხეული, ეკვითმოყვარე. 22. ფინელი ავტორმრბოლელი. 23. აღმოსავლური ნასაბერი საკრავი. 24. სტადიონი ბრაზილიაში. 26. დაქირავებული ეკიალური რესტორანში, საცეკვაო დარბაზში. 28. ნახაზებზე კუთხეებია ასაგები და გასაზომი ხელსაწყო. 31. ნარმოებაში, დაწესებულებაში მომუშავეთა მთელი შემადგენლობა. 32. ბეტრე მირველის დედა ნატალია ...

ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ

ი	ე	შ	კ	ა	ე	ლ	ფ	ი	ნ	ი	თ	ე	ო
შ	რ	ე	ი	ტ	დ	ი	ნ	ი	ი	ბ	ი	ნ	დ
ი	ხ	ი	ლ	ი	ა	ე	ა	რ	ი	ო	ა	ლ	ე
ჯ	ი	ბ	ი	ფ	ლ	რ	რ	ა	ნ	რ	ტ	ო	ბ
ო	დ	ა	ნ	ო	ბ	ე	ბ	ი	ო	ხ	ა	ბ	ო
რ	ო	ბ	ა	რ	დ	ი	მ	ა	რ	შ	კ	შ	ხ
ო	ვ	ი	ტ	ი	ა	ბ	შ	რ	ა	ა	ა	ე	ო
ნ	ე	ჭ	ი	დ	ბ	ი	ა	ი	ხ	ლ	კ	ი	ნ
ქ	ა	მ	ა	ნ	ა	ნ	ო	ხ	ა	ი	ა	ნ	ა
რ	ა	ბ	ე	ხ	შ	ი	დ	ი	თ	ა	ნ	ი	ჯ
ი	ნ	ი	ლ	დ	ო	რ	ფ	ი	ბ	ა	დ	რ	ი

1. პარიზონ ...; 2. ტერიტორიალური ერთეული აბაქოთა საქართველოში; 3. „დე ფაქტო დუ...; 4. ფენის ეკიპაჟია და ხვიგაციაზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი; 5. სეიმის თავმჯდომარე საფრანგეთში, 6. მათემატიკის ნაწილი; 7. ლასო; 8. პორტუგალიური საფეხბურთო კოუბი; 9. უძველესი დროის, დიდი ქალაქი სირიაში; 10. ჰოლიუდის ვარსკვლავი მაბიობი ... ფოსტერი; 11. ბიგენური დაწესებულება; 12. ინდოეთის ეროვნული ვალუტა; 13. ისტორიული სოფელი ყვარელის რაიონში; 14. ებრაული სახელიერი პირი, მღვდელი; 15. რაიმე ობიექტის, ღამის დარაჯი; 16. ნდინარე გერმანიაში; 17. ქალაქი რუსეთში; 18. ქალაქი ბელგიაში; 19. ფოლგა, 20. ზიტის მახე; 21. მოსტნეული მცენარე; 22. იაპონური ელექტრო ფირმა. 23. ზღვის ძიუში ერთგვარი; 24. ქვეყანა აზიაში; 25. არაბი ფეოდალი.

ᲛᲘᲤᲠᲘᲕᲝᲠᲓᲘ



ა-11	ხ
ბ	ტ
ბ	ჭ
დ	ფ-26
ჯ-30	ქ
ვ	ღ
ზ	ძ
თ	შ-22
ი-4	ჩ
კ	ც
ლ-28	ძ
მ	წ
ნ	ჭ
ო	ხ
პ	ჯ
ჟ	ჰ
რ-16	

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(პირველი ნაწილის დასასრული. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ N15)



ახლა ღვთაებრივ-კოსმიური კუთხით გადავხედოთ რა მოხდა ცოდნის მფლობელ ცივილიზებულ კოლხეთში და რა უნდა მოხდეს, აიეტი ხომ მზის შვილი იყო და იმავე ციდან იყო დაშვებული პირველი სამეფო ხელისუფლება დედამიწაზე!...

ადამში ღვთაებრივი სული (ანი) შთაიბერა, გაიბერა ცოდნით და გახდა ბერი (ღმერთთან მოლაპარაკე). იმ ადგილს კი, სადაც ცოდნით იბერა, „იბერია“ ეწოდა. ღვთაებრივი გადაწყვეტილებით, ბერებს (ადამი+ანებს) ამ ცოდნის დანაწევრება და სხვათა ერებში, ენებში და ტომებში გატანა დაევალათ, ოღონდ, საიდუმლო კოდი — ცოდნის გასაღები (ლაზარე), ბერებს არასოდეს გაუციათ. ყველას, ვისაც ეს ცოდნა უნაწილდება ბერების ძეებს (ბერძენი) უწოდებენ.

მთელი გაყალბებული ისტორიიდან, როგორც ახლა ირკვევა, მეფე აიეტმა იცოდა რა ეს საიდუმლოება, წესისამებრ, ამ ცოდნის ასლი „არგო“ წილად შემდგომში ბერძნებს და ეს დავალება მედეას შეასრულებინა — გაატანა. მედეამ წინასწარ იცოდა, რომ მამასთან უკვე მოდიოდნენ ამ ცოდნის მისაღებად და მისია ბრწყინვალედ შეასრულა. რაც შეეხება მედეას მიერ შვილების დახოცვას, რაც უკვე აღვნიშნეთ, რომ დადასტურებული და შეკვეთილი მითი-სიცრუეა — დამწერლობის გასაღები, ცოდნის ამოკითხვის წესი მოკლა-შეცვალა და არ დატოვა მისი შემძლე გამგრძელებელი.

ეს არის ცოდნა ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე (ოქროს საწმისი — გრაალის თასი), რომელიც ამ ერს დარჩა სამარადისოდ, ეს კი ნიშნავს ამ ერის რჩეულობას. იგი იცავს ამ ერს განსაცდელის ჟამს და შეჰყავს გადარჩენის კიდობანში დრომდე, რათა შემდგომ განავრცოს იგი და ამ ერს „ჟამის ერი“ ჰქვია — მრავალჟამიერ!

ამდენად, ალბათ, მართებულია მავანთა მოთხოვნა, რომ საქართველოს დაუბრუნდეს მისი ნამდვილი სახელი „იბერია“, რადგან უნდა გაბრწყინდეს იბერია და არა საქართველო!

„პირველად იყო სიტყვა“— ვამბობთ ხშირად, მაგრამ ვიცით კი, რატომ ვამბობთ ასე?

ღმერთი სიტყვაა!

უფალი ამბობს: „ღმერთო, მე შენ გადიდე, ახლა შენ მადიდე იმ დიდებით, რა დიდებითაც შენთან ვიყავი ქვეყნიერების შექმნამდე...“ უფალი ქვეყნიერების შექმნამდე სიტყვის დიდებით იყო ღმერთთან, მაშასადამე, რომელიღაც ენა ღვთის საუზრო-სამეტყველო ენა არის!

სიტყვას აქვს ძალა, მითუმეტეს, თუ კოდირებულია — თუ არ იქნება სიტყვა, „იბერია“, არარსებული ვერასოდეს გაბრწინდება!

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, რომ მათ აღმოაჩინეს „ღმერთის გზავნილი“, რომელიც ჩაწერილია ადამიანის გენომში ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში.

დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში წამყვანმა გენეტიკოსებმა აღმოაჩინეს 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე, რომელიც მათი აზრით, ამტკიცებს ღმერთის არსებობას და მის როლს დედამიწაზე. „ღმერთის გზავნილი“ აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც მკვლევრებმა შეამჩნიეს უცნაური მათემატიკური მოდელები რომელიც ჩნდებოდა გენომის გარკვეულ ნაწილში. „ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება. გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა ჯვარედინი ანალიზი გზავნილების სხვა და სხვა ენის მონაცემთა ბაზის მიხედვით და ჩვენ გავოგნდით როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები შეესაბამება არამეულ ენას. როგორც ჩანს, უფალმა დაგვიტოვა დაფარული გზავნილი, რომელიც ჩვენ შევძელით აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, როდესაც მივაღწიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამ აღმოჩენამდე მე შეუვალი ათეისტი ვიყავი, ახლა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფლიოში“, — წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის წამყვანი მეცნიერი. (როგორ იუწყებოდნენ, გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალ **NATURE**-ში)



არამეულ, ანუ ქრისტეს ენაზე დღესაც გალობს მამა სერაფიმე საქართველოში, ქართლში, სოფელ ქანდაში და დღემდე ამ ენაზე საუბრობენ ამ სოფლის მცხოვრებლები...

მსოფლიო მასშტაბის „მავანთა“ მცდელობა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე მოკლედ ვთქვით, დაიმალოს, ამოიძირკვოს, გაქრეს — განა გასაკვირია?...

P.S — ვინაიდან წინამდებარე წერილობითი საუბრები მხოლოდ მოკლე საგაზეთო ვერსიაა საქართველოს გაყალბებულ-მიჩქმალული ისტორიის შეძლებისდაგვარად ამეტყველებისა, შესაბამისად, მხოლოდ საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათს ატარებდა. ზღვაში წვეთადაც კი ვერ ჩაითვლება ის გაბნეულ-დანაწევრებული ინფორმაცია, რის შეკრებასაც შევეცადეთ. ამდენად, ცალკეულ მოსაზრებებს, მტკიცებულებებს, ვერსიებს, მიგნებებს და ა.შ რომელიც გამოყენებული იქნა წერილობითი ფორმით თხრობისას, არ ჰქონდა სქოლიოები. დაინტერესებულ მკითხველს ამავე თემაზე ვრცელი ინფორმაცია შეუძლია მოიძიოს ინტერნეტსა და ბეჭდური მედიით გავრცელებულ საშუალებებში, კონკრეტული ავტორების წიგნებში, ნაშრომებში, ბროშურებში, ინტერვიუებსა და ა.შ). რუბრიკა გახლდათ მათი შემკრების ე.წ „პოპულარული ენით“ თხრობა და არა პრეტენზია მოცემული მასალების ავტორობაზე, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი თემის ახსნის ვერსია კონკრეტულად შემკრებს ეკუთვნოდა.

თხრობისას, ზოგჯერ, მითითებული იყო წყაროც და ავტორიც, მაგრამ ყველა იმ ლიტერატურის ჩამოთვლა, რაც აღნიშნულ თემას ეხება ან მასთან ერთად განსახილველია, ვთქვათ, ჰეროდოტედან დღემდე, მოქმედი მკვლევარების (არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, მოგზაურები, გეოგრაფები, ზღვაოსნები და ა.შ) ჩათვლით, წარმოუდგენელი და არაფრის მომცემი შრომაა როგორც რიგითი ადამიანისთვის, ასევე, გაზეთის შეზღუდული სივრცისთვის, ამდენად, მომგვიტევეთ თუ ეს შრომა არ გავწიეთ...

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **რა წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით,

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

* * *

— **რა წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას?**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 274-ემუხლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

* * *

— **მაინტერესებს ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128- 131. -ე მუხლები-ე მუხლები, რომელთა შინაარსს წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 128. ცნება. სახეები

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა. პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ. მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა — ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

* * *

— **გთხოვთ, გაგვაცნოთ საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის პირთა ჩამონათვალი.**

— საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი: სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

მე-2 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მე-3 ნაწილი: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

მე-4 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

* * *

— **დებს თუ არა ფიცს საჯარო მოსამსახურე, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში?**

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 28. მოსამსახურის ფიცი

1. პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

2. დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება

მოხელის პირად საქმესთან ერთად.

* * *

— **რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას?**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

* * *

— **გთხოვთ, გაგვაცნოთ ჩამონათვალი იმ საჯარო ინფორმაციებისა, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია.**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით,

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე, სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:

თიბისი ბანკი, ანგ # GE72TB7805445 165 100 009.

მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

ნაპოლეონის ოთხი ორეული

ერთხელ, როგორღაც, ცნობილი ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდის თანდასწრებით საუბარი უდიდეს ადამიანს, იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტს შეეხო. და ფროიდმა, რომელიც ნაპოლეონს აღმერთებდა, განაცხადა: „ადამიანის ანატომია მისი ბედისწერაა“.

რა ჰქონდა მხედველობაში მეცნიერს? როგორც აღმოჩნდა, ნაპოლეონმა, როდესაც პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო დამპყრობელი გამხდარიყო, ოთხი ორეული მოძებნა, რომლებიც გარეგნულად მისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. „ეს ნაბიჯი, რომელიც ბევრს უცნაურად მოეჩვენება, – განაგრძო ფროიდმა, – წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რადგან წლების შემდეგ ნაპოლეონს შესაძლებლობა მისცა, განეხორციელებინა თავხედური აფერა, რომლის წყალობითაც წმინდა ელენეს კუნძულზე არა ბონაპარტი, არამედ სრულიად სხვა ადამიანი იტანჯებოდა. იგი ნამდვილი იმპერატორისგან მოუხეშავი სიარულით, საშინელი, არისტოკრატისთვის შეუფერებელი მანერებითა და ხელწერით განსხვავდებოდა“.

ვენური კვალი

ფროიდს ლოგიკური კითხვა დაუსვეს: სად იყო ამ დროს ეგრეთ წოდებული „ნამდვილი“ ნაპოლეონი და რა მოუვიდა მას? მეცნიერმა მხრები აიჩეჩა: „როგორ შეიძლება არ იცოდე იმის შესახებ, რაზეც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მთელი ევროპა ჭორაობდა. 1823 წლის 4 ოქტომბერს ვენის შემოგარენში შენბრუნში თავში ხმლის ჩარტყმით მოკლეს მხედარი, რომელიც ცდილობდა ციხესიმაგრეში შეღწევას, სადაც ქუნთრუშით დასნებოვნებული ნაპოლეონის ვაჟი კვდებოდა.

ყველაზე გაუგონარი რამ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანი, რომელსაც უდიდესი სამხედრო პატივი მიაგეს, როგორიც მხოლოდ უმაღლესი წარმომავლობის ადამიანებს ეკუთვნით, დაკრძალეს იმ ძვალთშესალაგში, რომელიც ცოტა ხნის წინ ააგეს ბონაპარტის ვაჟიშვილისა და მეუღლის განსასვენებლად“.

ფროიდს ტყუილი სულაც არ უთქვამს. შენბურნის შემოგარენში მართლაც დაკრძალეს ვინმე, რომელიც, პირველი, იმპერატორის იდენტური იყო გენეტიკურად და მეორე, მას ზუსტად ისეთივე ჩონჩხის აგებულება, ძვლოვანი სისტემა და თავისქალა ჰქონდა.

მაგრამ, ოფიციალური ვერსიით, ნაპოლეონის ნეშტი პარიზში, ინვალიდთა სახლის ნეკროპოლში ინახება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორეული ან განდეგილობაში გარდაიცვალა და იგი საფრანგეთის დედაქალაქში დაკრძალეს, ან შერბუნმა „შეიფარა“ ნაპოლეონის ცხედარი, ან იმპერატორს ტყუპისცალი ძმა ჰყავდა.

ნაპოლეონის ორეულების შესახებ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ისტორია არსებობს. ერთი წყაროდან ცნობილია, რომ მას ოთხი ორეული ჰყავდა, ხოლო იან ფლემჩიკი აცხადებს, რომ ორეულების რაოდენობა თექვსმეტი იყო.

ოთხი „შეცვლა“

ერთ-ერთი ორეული, რომლის ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, იყო ფრანსუა ეჟენ რაბო, რომელიც მონარქის კარზე ცხოვრობდა და მუდამ გვერდით ჰყავდა, რათა შეესრულებინა ნაპოლეონის იოლი, მაგრამ რისკთან დაკავშირებული დავალებები.... ახლა ძნელია იმის გაგება, რატომ დართეს ნება იმ ადამიანს, რომელიც „გაჯერებული“ იყო ნაპოლეონის მანერებით, გემოვნებით და ჩვევებით, ღრმა სიბერემდე მიეღწია და მისთვის შეუფერებელ ფუფუნებაში ეცხოვრა. მას მხოლოდ ერთი შეზღუდვით: რაბოს მთელი ცხოვრება იცავდნენ და სიკვდილამდე არ შეეძლო, მამული დაეტოვებინა და მხოლოდ მოსამსახურეებთან და მცველებთან ურთიერთობის უფლება ჰქონდა.

ამ ტუსაღმა დატოვა ჩანაწერები, რომლებიც ორეულების საიდუმლოს ნათელს ჰფენს. როგორც რაბო ადასტურებს, ნაპოლეონმა რვა კანდიდატურიდან თავად აირჩია ოთხი. ეს ადამიანები, მათ შორის რაბოც, შეუფერხებლად ახორციელებდნენ ნაპოლეონის „შეცვლას“ მოულოდნელ სიტუაციებში. 1815 წელს, ვატერლოოს ბრძოლამდე, ერთ-ერთს ორეულს, რომელიც იმპერატორად ჩათვალეს, ზურგში ხანჯალი ჩასცეს.

მეორე ცოცხცლად დაიწვა კარეტაში, მესამე გაქრა, მაგრამ იგი უნახავთ თურმე... პეტერბურგში, რუსეთის მეფის კარზე!

ბოლოს კი ფრანსუა ეჟენ რაბოს მკითხველები გაუვალ ბუნებული გამგზავრების შემდეგ, ვერონაში დასახლდა უზომოდ მდიდარი იტალიელი, რომელიც თავს რევარს უწოდებდა. მისმა მოსამსახურე პეტრუჩიმ გახსნა დუქანი, სადაც კი არ ვაჭრობდნენ, არამედ თავყრილობები იმართებოდა, რომელთა მონაწილეები სულაც არ ცდილობდნენ, თავი მდაბიო ადამიანებად მოეჩვენებინათ.

ვერონის მერი კი რევარის წინაშე თავს იდრეკდა და მის ყველა სურვილს ასრულებდა. და კიდევ. ხალხს ვერ მოატყუებ: რევარს ყველა იმპერატორს ეძახდა, რადგან ამ ბატონს ნაპოლეონ ბონაპარტის გარეგნობა ჰქონდა.

1823 წლის 23 სექტემბერს რევარი იძულებული გახდა, ვერონა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა, რადგან დაბეჭდილი წერილი მოუტანეს. გამგზავრებამდე მან პეტრუჩის გადასცა წერილი და დაუბარა, რომ თუ იგი სამი თვის შემდეგ არ დაბრუნდებოდა, ბარათი საფრანგეთის მეფისთვის გადაეცა. ამ დროის გასვლის შემდეგ პეტრუჩი პარიზში გაემგზავრა და წერილი ადრესატს გადასცა. იგი გულუხვად დაასაჩუქრეს. ოცდაათი წელი პეტრუჩი დუმდა, შემდეგ კი ვერონის ქალაქის მმართველთან მივიდა და განცხადება გააკეთა, რომელიც ფიცით დაადასტურა. პეტრუჩიმ განაცხადა, რომ მეფის სასახლეში მას 100 ათასი ოქროს კრონი გადაუხადეს. იგი ამტკიცებდა, რომ ვერონაში ხუთი წლის განმავლობაში ნაპოლეონ ბონაპარტის გვერდით ცხოვრობდა.

უკანასკნელი მასკარადი

და უკანასკნელი. აბსოლუტურად უცნაური და შეუსაბამო ფაქტი. თუ დავუშვებთ, რომ ნაპოლეონის ნაცვლად ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კლდოვან კუნძულზე გადასახლებაში იმყოფებოდა და იქვე გარდაიცვალა არა ნაპოლეონი, არამედ მისი ორეული, მაშინ როგორ მოხდა, რომ ამავე დროს იგივე რაბო სფრანგეთში საპატიო ტუსაღი იყო და იმპერატორის გარდაცვალებიდან მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დატოვა ეს სამყარო? გამოცანაა, არა?

ნაპოლეონის შესახებ დაწერილი არაჩვეულებრივი წიგნის ავტორი ფრედერიკ სტენდალი ვერ მალავდა გაოცებას, ჰქონდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რატომ იყო ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ გაკეთებული იმპერატორის ნახატები, როდესაც იგი უკვე კუბოში იწვა, სიცოცხლისდროინდელისგან ასერიგად განსხვავებული. „ეს აშკარად ვიღაც სხვა არის, მაგრამ ვის და რატომ დასჭირდა ეს მასკარადი?“ — კითხულობს მწერალი. „არა, რა თქმა უნდა, ნახატებზე ნაპოლეონია, რომლის სახის ნაკვთები მძიმე ავადმყოფობამ დაამახინჯა, შესაძლოა ეს მოწამლვამაც გამოიწვია“, — ეპასუხება მას აკადემიკოსი ე. ტარლე.

მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე ბრძენი ზიგმუნდ ფროიდი აღმოჩნდა, რომელმაც განაცხადა: „ნაპოლეონის ბედისწერა — ეს თავად ეპოქაა, რომელსაც არ ჰყავს და ვერც ეყოლება ორეულები, და შესაძლოა მხოლოდ ერთი მოქმედი პირია, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა“.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
სააათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა